# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 ნოემბერი. 2021 წ. №202 (9321) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# როდის უნდა დაამთავროთ თქვენი უაზრო ბერიკაობა, უსაქმურო ნაციონალებო?!.





ნუთუ ვერ ხვდებით, რა სასაცილონი ხართ, ჭკუისგლახებივით მოხეტიალენო?!.

**ნათია ბერიძე:** აჰლა მართლა მინდა ვიკითხო, რას ვერ უძლებთ?! ⑥

**ლელა კურდღელაშვილი:** არ მოგწონება განაჩენი? ეგერ სტრასბურგი და გაასაჩივროს!

**გულნარა სტურუა:** ბოროტებას თუ თავის დროზე არ აღმოფხვრი, ის დაბრუნდება! ⑤

**ლევან ლორთქიფანიძე:** თუ პუტინის მთავარი მიზანი სააკაშვილის განადგურებაა, რატომ უჭირს საკითხის გადაწყვეტა?

**უშანგი ჯანგირაშვილი:** ხალხი – წამლებისა და მკურნალობის გაძვირების ტერორში! ④

**დააბრუნებინეთ სააკაშვილს ნაძარცვი ღიად, გამჭვირვალედ და შარშანდელი თოვლივით გაქრება ის ქართული სინამდვილიდან, მთელ თავის კრიმინალურ ქსელთან ერთად!** ③



## იენს სტოლტენბერგი: უკრაინა და საქართველო ნატოს ალიანსისთვის დიდი მნიშვნელობისანი არიან!

ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** ბრიუსელში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრაზე საქართველოზე ისაუბრა და თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

**„ჩვენ რიგაში შევხვდებით ერთად უკრაინას და საქართველოს. მოუთმენლად ველოდები ორივე ქვეყნის – უკრაინის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებთან საუბარს. დმიტრო კულებას გუშინ შევხვდი და, რა თქმა უნდა, რიგაში ალიანსს შესაძლებლობა ექნება ძლიერი მხარდაჭერა დაუდასტუროს საქართველოს, უკრაინასა და მთელი შავი ზღვის რეგიონს“,** – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მან აღნიშნა, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსისთვის დიდი მნიშვნელობისანი არიან!

**„ნატოსთვის მათთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა საკმაოდ ღირებულია. უკრაინა და საქართველო ნატოს ახლო პარტნიორები არიან. ჩვენ მათ მხარდაჭერას ვუცხადებთ, ვეხმარებით და ვთანამშრომლობთ და პატივს ვცემთ იმ ფაქტს, რომ შავი ზღვის რეგიონში ერთად ვმუშაობთ, რაც კარგია არამარტო მათთვის, არამედ ნატოს მოკავშირეებისთვის. შავი ზღვის რეგიონი ნატოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ნატო ეხმარება უკრაინასა და საქართველოს წვრთნებით შესაძლებლობების ზრდაში. ალიანსის წევრები მომავალი წლის ივნისში სამიტზე და უახლოეს მინისტერიალზეც ძლიერ მხარდაჭერას დაადასტურებენ ნატოს უახლოესი პარტნიორების მიმართ“,** – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები რიგაში 30 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. სტოლტენბერგმა მინისტერიალზე საქართველო და უკრაინა მიიწვია.



# პრემიერ-მინისტრმა ფრანგ ინვესტორებს ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო გააცნო

**საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები და ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო გააცნო პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანგ მეწარმეთა გაერთიანების წევრებს, რომლებსაც დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.**

უწყების ცნობით, მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა საქართველოს უნიკალურ მდებარეობას, სტრატეგიულ ურთიერთობებსა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს ევროკავშირთან, დსთ-ის ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთთან, რაც უცხოელ ინვესტორებს მრავალმილიონიან ბაზრებზე თავისუფლად წვდომის საშუალებას აძლევს.

**„ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანგ მეწარმეებს საქართველოში ვიზიტისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებით დაინტერესებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ინვესტორებს საქართველოს მთავრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ექნებათ.**

**პრემიერის შეფასებით, ფრანგ ბიზნესმენთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ადასტურებს საფრანგეთის დიდ ინტერესს ქართული ბაზრისადმი, რაც მისასალმებელი და დასაფასებელია.**

**ფრანგ მეწარმეთა გაერთიანების დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, საინჟინრო, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და სხვა სფეროებში მოღვაწე ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოში პოტენციურ საინვესტიციო პროექტებს სწავლობენ. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია მათი სექტორული შეხვედრები სხვადასხვა უწყებებთან.**

**მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საფრანგეთის ელჩი საქართველოში დიეგო კოლასი, ვიცე-პრემიერი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი ესწრებოდნენ“,** — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 50 მილიონიანი ამერიკული ფონდი

**საქართველოში** ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი Catapult VC შემოდის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 50 მილიონიან ფონდს Catapult Georgia One-ს დააფუძნებს, — ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ფონდი სილიკონ ველიზე საქმიანობს და ასობით სტარტაპი აქვს დაფინანსებული.



**„Catapult VC-ის გადაწყვეტილებით, საქართველოში შეიქმნება კერძო ფონდი, რომელიც დააფინანსებს ქართულ სტარტაპებს, რომელშიც სახელმწიფოც მცირედი მონაწილეობით იქნება წარმოდგენილი. ეს არის იმის აღიარება, რომ ქართული ინოვაციური სტარტაპებისთვის ჩვენ შევქმენით იმდენად მიმზიდველი ეკოსისტემა, რომ მსგავსი მსხვილი ამერიკული ფონდები შემოდიან ქართული სტარტაპების დაფინანსების მიზნით. ეს არის ჩვენი ეკონომიკის ის მიმართულება, რომელიც უკვე ძალიან კონკურენტუნარიანია და ქართული სტარტაპები ღირსეულ კონკურენციას უწევენ გლობალურად სხვა სტარტაპებს. სწორედ ეს არის მომავლის ეკონომიკა, რომელიც უფრო სწრაფად განვითარდება“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.

# დავით ზალკალიანი: ნატოში ჩვენი ინტეგრაციის მხარდამჭერი სერიოზული გზავნილი გაჟღერდა

**ჩვენ არამარტო საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე მივიღეთ მხარდამჭერი გზავნილი, არამედ ერთმა დელეგაციამ საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზეც ისაუბრა,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ბრიუსელში ვიზიტისას გამართული შეხვედრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

**„ევროკავშირის ფორმატში ნატოში ჩვენი ინტეგრაციის მხარდამჭერი ძალიან სერიოზული გზავნილიც გაჟღერდა. ეს ალბათ დღევანდელ დღესაც ეხმაურება, რადგან ნატომ საქართველო და უკრაინა მიიწვია მინისტერიალზე განსხვავებულ ფორმატში მონაწილეობის მისაღებად.**

**მთლიანობაში აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტერიალი უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. სამუშაო კიდევ არის და ვეცდებით, რომ დარჩენილ პერიოდში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს გზავნილები და საბოლოო სახით დეკლარაციას ის ფორმა და შინაარსი მიეცეს, რაც ჩვენთვის იქნება სასურველი“,** — აღნიშნა ზალკალიანმა.



# ირაკლი კობახიძე: შარშან, ერთი წლის განმავლობაში ოპოზიციამ ქვეყანა ამყოფა შანტაჟის, ხელოვნური კრიზისის რეჟიმში, იგივეს აგრძელებენ შიმშილობის ფორმით, რაც მიუღებელია!

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, უმრავლესობის წევრები ამ წუთებში ელენე ხოშტარიასთან იმყოფებიან, რათა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიიღონ ინფორმაცია. კობახიძის თქმით, სხვა მოშიმშილე დეპუტატებთან დაკავშირებითაც იგივე ნაბიჯი გადაიდგმება, თუ ამის საჭიროება იქნება.



**„ჩვენი კოლეგები ზუსტად ახლა არიან ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობის მდგომარეობის მოსაკითხად. მასთან მისული არიან უმრავლესობის წევრები. თუ ანალოგიური საჭიროება იქნება სხვა დეპუტატებთან მიმართებითაც, ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან გადაიდგმება იგივე ნაბიჯი“.**

ამასთან, ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები შანტაჟის ფორმას მიმართავენ. **„რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, ეს არის შანტაჟის ფორმა და მათი პოლიტიკური უფლებაა. შარშან, ერთი წლის განმავლობაში ოპოზიციამ ქვეყანა ამყოფა შანტაჟის და ხელოვნური კრიზისის რეჟიმში, ახლა იგივეს აგრძელებენ უკვე შიმშილობის ფორმით, რაც ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა ეს მათი პოლიტიკური უფლებაა, შეუძლიათ, მიმართონ ამ ფორმას“.**

# ირაკლი ქადაგიშვილი: საქართველო ყველას ფეხების შესაწმენდი ქვეყანა არ არის!



**საქართველო ყველას ფეხების შესაწმენდი ქვეყანა არ არის — იქნება უკრაინის დეპუტატი თუ სახალხო დამცველი, კეთილი ინებოს და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს პატივი სცეს!** — ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ქადაგიშვილმა უკრაინის სახალხო დამცველის ლუდმილა დენისოვას მიხეილ სააკაშვილთან არშეშვების თაობაზე დასმულ კითხვას. ქადაგიშვილის თქმით, ის, რომ მიხეილ სააკაშვილი პატივს არ სცემს ქვეყანას, რომლის პრეზიდენტიც ერთ დროს იყო, ეს წესი და რიგი არ უნდა გახდეს.

**„ჩვენი ქვეყნის შიდა მდგომარეობა პოლიტიკური მიზნებისთვის ადვილად არავის უნდა გამოვაყენებინოთ. ამიტომ მან უნდა მიმართოს სახელწიფოს და შესაბამისი პროცედურები გაიაროს. შესაბამისი პატივისცემა გამოხატოს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. აქ ლაპარაკია საქართველოს სახელმწიფოზე — ყველამ კეთილი უნდა ინებოს და ამ სახელმწიფოსთან ითანამშრომლოს და ისაუბროს ისე, როგორც ეს სუვერენულ სახელმწიფოსთან არის მიღებული“,** — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

# დიმიტრი ხუნდაძე: ჩვენ სააკაშვილს ვუმკურნალებთ, მაგრამ ექიმები ვეღარ უმკურნალებენ გირგვლიანს, სერგო თეთრაძეს, კობა დავითაშვილს, არჩილ ჩოხელს, ბუტა რობაქიძეს, ვაზაგაშვილს, 8 აგვისტოს დაღუპულ ბიჭებს...



**— მინდა ჩემს კოლეგა ექიმებს მივმართო, ვისაც სხვებისაგან განსხვავებით გამორჩეულად შესტკივათ გული მიხეილ სააკაშვილსა და მის ჯანმრთელობაზე. მას თქვენი კოლეგა ექიმები არაფერს დააკლებენ, თუმცა მინდა მათ შევახსენო სააკაშვილის მმართველობის დროს დასახიჩრებული ადამიანები, რომლებსაც ექიმები ვეღარ უმკურნალებენ. მაგალითად ექიმები ვეღარ უმკურნალებენ გირგვლიანს, სერგო თეთრაძეს, კობა დავითაშვილს, არჩილ ჩოხელს, ბუტა რობაქიძეს, ვაზაგაშვილს, 8 აგვისტოს დაღუპულ ბიჭებს, ჩვენ სააკაშვილს ვუმკურნალებთ და თუ საჭირო გახდება თქვენც ჩაგრთავთ.**

**მინდა მივმართო ყველა გულშემატკივარს — თქვენი ტკივილის მორჩენა შეუძლია მხოლოდ იმ პირს ვისზეც წუხთ, მიხეილ სააკაშვილს შეუძლია დღესვე შეწყვიტოს შიმშილობა, ამით შეასრულოს სტრასბურგის მოსთხოვა, ამით დასრულდება თქვენი წუხილიც და თქვენი მხარდამჭერების გზააბნეული, მრავალდღიანი ტანჯვაც“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

# რატი ბრეგაძე: საქართველოს კანონმდებლობით, პენიტენციურ დაწესებულებაში უკრაინის სახალხო დამცველის შესვლა გათვალისწინებული არ არის!

**დიახ, საქართველოს კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში უკრაინის სახალხო დამცველის შესვლა, არ არის ამის აუცილებლობა, არ გვაქვს ჩვენ ამის ვალდებულება,** — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ განაცხადა. მან უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, რატომ არ ეძლევა უკრაინის სახალხო დამცველს, ლუდმილა დენისოვას ამ დრომდე მე-18 დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილს მონახულების საშუალება.



**„პატიმარი როცა იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში, ვალდებული ვართ, მაქსიმალურად შევეცადოთ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყოს ბოლომდე დაცული და როგორც მოგახსენეთ, სწორედ ამ მოტივებით სახალხო დამცველი ჯერჯერობით არ იქნა შეშვებული. ბუნებრივია, შემოსულია წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით და ჩვენ აუცილებლად დავუბრუნებთ პასუხს.**

**წინა შემთხვევაში, როდესაც დენისოვა იმყოფებოდა და გააკეთა ცალმხრივი განცხადება, ალბათ, კარგი იქნებოდა, მაშინ შევხვედროდით, რათა მოესმინა ჩვენი პოზიცია და გათვალისწინებული ყოფილიყო ორივე მხარის პოზიცია. როდესაც დენისოვა მე-12 დაწესებულებაში შევიდა, გამოსვლისას გააკეთა მხოლოდ ცალმხრივი შეფასება და არ დაუსვამს ჩვენთვის არც ერთი კითხვა იმის შესახებ, შეესაბამებოდა თუ არა ის ინფორმაცია სინამდვილეს, რომელიც მას მიაწოდეს“,** — განაცხადა რატი ბრეგაძემ.



## ირაკლი კენჭოშვილი:

# ახალ წელს ჩამათრიეს კარცერში, სადაც ადრე სიკვდილმისჯილები ჰყავდათ

**დღემდე თავს ვიკავებდი ამ თემაზე საჯაროდ საუბრისგან, მაგრამ ახლა ისეთი ამბავი ატეხეთ ზოგიერთებმა მიშას შიმშილობაზე, რომ თავი ველარ შევიკავე და თქვენი ნებართვით ჩემი პატიმრობიდან რამოდენიმე ფაქტს გავიხსენებ, მერე თქვენ შეაფასეთ, ვის უფრო მძიმე პირობებში მოუწია ციხეში ჯდომა, რა არის ციხეში შიმშილობა, არაადამიანური მოპყრობა და წამება.**

**დამიჭირეს 2005 წლის ოქტომბერში, ცილისწამების, მოგონილი ბრალდების საფუძველზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჯანაძის ქმარმა ბადრი ბიწაძემ და ყოფილმა პროკურორმა გარეწარმა ვალერი გრიგალაშვილმა მოინდომეს ჩემი და ჩემი კომპანიონების ქონების ხელში ჩაგდება. ერთ თვეში ჩემი სხვა კომპანიონებიც დაიჭირეს, მათ შორის, 70 წლის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი ნუგზარ პაიჭაძე, რომელიც ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში იწვა, წვეთოვანადან მოხსნეს და სასწრაფოდ ორთაჭალის ციხეში საკაცით შემოიყვანეს, ერთი კვირა კარანტინში სარდაფში ყავდათ და მერე გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში.**

მთელი ჩვენი პატიმრობის განმავლობაში ჩემზე, ჩემს კომპანიონებზე, ჩვენი ოჯახის წევრებზე პროკურორების მხრიდან მუდმივად მიდიოდა ზეწოლა, რომ თუ არ გადავუფორმებდით ჩვენს კუთვნილ აქციებს კონკრეტულ პიროვნებებს (რომელიც შემდეგ შეცვალეს სახელმწიფოთი), ჩვენ დიდი ხნით გამოგვამწყვევდნენ ციხეში (შეკრებითობით 25 წელი გამოდიოდა იმდენი მძიმე მუხლი წაგვიყენეს). ნუ გგონიათ, რომ ისინი ამას აკეთებდნენ უანგაროდ, მათ ამაში პრემიებს აძლევდნენ და ჩვენი ქონების ხარჯზე ბიუჯეტს ავსებდნენ.

დეკემბერში პატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილობა, 2 კვირის მანძილზე ციხეზე არ შემოდიოდა „პერედაჩები" (ჩვენ თვითონ უკან ვაბრუნებდით). იანვრის დასაწყისში, ახალ წელს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩამათრიეს კარცერში, სადაც ადრე სიკვდილმისჯილები ყავდათ, ეს იყო სველი სარდაფი, სადაც არც შუქი გვქონდა და არც სუფთა ჰაერი არ შემოდიოდა, არ ნიავდებოდა, საშინელი შმორის და ციხის სუნით გაჟღენთილი, ბაღლინჯოებით და ვირთხებით სავსე. მე იქ ვნახე ადამიანი, რომელიც 6 თვე იჯდა კარცერში და ამ ხნის მანძილზე მზის შუქი არ ჰქონდა ნანახი. უკვე 2 კვირის ნაშიმშილარმა კარცერში პროტესტის ნიშნად მშრალი შიმშილობა გამოვაცხადე, რამდენიმეჯერ ცუდად გავხდი და დამჭირდა ექიმის გამოძახება, მაგრამ ციხის საავადმყოფოში მაინც არ გადამიყვანეს. არც არავის შემოუთავაზებია ჩემთვის ფაფები და ვიტამინები, ციხიდან რომ გამოვედი 45 კილოსაც არ ვიწონიდი. ამას დაემატა ერთერთი პატიმრის მიერ კარცერში ხანძრის გაჩენა, რა დროსაც ჩვენ თითქმის ერთი საათის განმავლობაში ვიხრჩობოდით კვამლში, ავტეხეთ საშინელი ხმაური, ყველა ვითხოვდით შველას, მაგრამ ვიყავით მიტოვებულები, ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი სპეციალურად იყო მოწყობილი. ბოლოს ბეწვზე მოგვისწრეს კლუჩნიკებმა, რომლებმაც სარდაფიდან ამოგვიყვანეს. ამის შემდეგ დამაბრუნეს ძველ კამერაში. (სხვათაშორის, ეხლა მიშა რომ ზის ზუსტად მაგ ზომის კამერაში 11 კაცი ვიჯექით, მორიგეობით ვიძინებდით, მაგრამ ჩვენთან არ იყო ისეთი ბარდაგი, როგორც მიშას ქონდა რუსთავის ციხეში). საერთო ჯამში ერთი კვირა ვყავდი რეჟიმს კარცერში. 7 იანვარს შობაზე საპატრიარქოს ინიციატივით ციხეში შემოიტანეს გაყინული თევზი, პატიმრებს უკვე შეწყვეტილი ქონდათ შიმშილობა, უნდა გენახათ, როგორ უხაროდათ იმ პატიმრებს, რომლებსაც გარეთ არ ყავდათ პატრონი და მხოლოდ ბალანდაზე იყვნენ.

ახლა რამდენიმე დეტალი ჩემი საქმიდან: მე დამიჭირეს მამაჩემისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების მითვისებაზე; ჩვენ ვიყავით განსასჯელები და არ ვიყავით მისჯილები მიშასგან განსხვავებით, ამიტომ სულაც არ იყო აუცილებელი აღკვეთის ღონისძიებად გამოეყენებინათ პატიმრობა 70 წლის ინსულტიანი ადამიანისთვის; მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ, საქმეს რომ გავეცანი, გავიგე ჩემი კარცერში ჩაყვანის საბაბი, თურმე ბადრაგის ბრძანებას არ დავემორჩილე და შეურაცხყოფა მივაყენე, სინამდვილეში მიზეზი იყო ჩვენი დაუმორჩილებლობა, რომ არ ვთმობდით აქციებს.

**აქვე დავამატებ, რომ ორთაჭალის ციხის პატიმრების საყოველთაო შიმშილობა დამთავრდა ცნობილი „ციხის ბუნტის" სისხლიანი ჩახშობით და მსხვერპლით.**

ახლა **მინდა ვკითხო სააკაშვილის მომხრეებს:**

**1. ვართ თუ არა ადამიანები თანასწორუფლებიანები, განურჩევლად თანამდებობისა, უნდა ვიხდიდეთ თუ არა სასჯელს ერთნაირ პირობებში?**

**შეგახსენებთ, ჩვენ განსასჯელები ვიყავით, მიშა სასამართლოს მიერ დამნაშავედ არის ცნობილი. სიმულიანტი მიშა ციხიდან კერძო საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვს, ჩემი ინსულტიანი კომპანიონი კი საავადმყოფოდან ციხეში ცოცხალ-მკვდარი შემოიყვანეს.**

**2. თუ მიშას მიმართ ციხის ადმინისტრაციის ქმედებებს წამების კვალიფიკაციას აძლევთ, ჩვენს მიმართ, სულხან მოლაშვილის, სერგო თეთრაძის და უამრავი გლდანის პატიმრის მიმართ ციხის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ქმედებებს რა კვალიფიკაციას აძლევთ?**

**ლომჯარიამ დაადასტურა, რომ მიშას ფიზიკური დაზიანებების კვალი არ ეტყობა, სულხან მოლაშვილს კი მთელ სხეულზე სიგარეტით ჰქონდა დამწვრობები მიყენებული, რაც ევრო სასამართლომ დაადასტურა კიდეც. იგივე ევროსასამართლომ მიშას უარი უთხრა სამოქალაქო სავადმყოფოში გადაყვანაზე.**

**3. ხართ თუ არა თანახმა, მიშა საპროცესო შეთანხმებით გამოუშვან ციხიდან, ოღონდ, ჯერ აღიაროს დანაშაული, მერე დაუყადაღონ მთელი ქონება ისევე, როგორც ჩვენ დაგვიყადაღეს ბინები და ავტომობილები, მერე მთელი ქონება გადააფორმებინონ სახელმწიფოს სახელზე როგორც ჩვენ, თან რამდენიმე თავის პადდელნიკი მაღალჩინოსანი ჩაუშვას, რასაც სხვებს სთხოვდნენ მაგის გარეწარი პროკურორები.**

**4. რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ჩვენთვის, უდანაშაულო ადამიანებისთვის 25 წლიანი სასჯელი და მიშასთვის მხოლოდ 6 წელი?**

**მაშინ როცა ჩვენ არც სამშობლოსთვის გვიღალატია, არც სამაჩაბლო და კოდორის ხეობა ჩაგვიბარებია რუსეთისთვის, არც დავით გარეჯა გაგვიყიდია, არც სტრატეგიული ობიექტები მიგვიყიდია რუსებისთვის, არც 28000 თურქისთვის მიგვიცია მოქალაქეობა, არც ზურაბ ჟვანია მოგვიკლავს, არც სანდრო გირგვლიანი, არც ბუტა რობაქიძე, არც ზურა ვაზაგაშვილი, არც უამრავი ქუჩაში მოკლული ახალგაზრდა, არც მიტინგები დაგვირბევია, არც ბიზნესმენები დაგვირეკეტებია, და არც ქონება წაგვირთმევია სხვებისთვის.**

**5. თქვენთვის აქვს თუ არა მნიშვნელობა, ადამიანი რა პირობებში იხდის სასჯელს? თუ მარტო მიშაა ადამიანი და ჩვენ ცხოველები ვიყავით?**

**ჩვენ რატომ ვიყავით ღირსი ციხეში არაადამიანური მოპყრობის და მიშა რატომ უნდა იყოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში სხვა პატიმრებისგან განსხვავებით? მოგიკითხავთ დღევანდელ ციხეში რა მდგომარეობაში არიან სხვა პატიმრები? იქნებ სხვებსაც ისევე ექცევიან, როგორც მიშას? თუ ფეხებზე გკიდიათ ყველა, მიშას გარდა? და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, უნდა აღდგეს თუ არა სამართლიანობა ჩვენ მიმართ და როგორ, რა ფორმით?**

**P.S.**

**არ მინდოდა ამ ყველაფრის გახსენება, რადგან გლდანის ციხეში ისეთ მძიმე პირობებში ჰყავდათ პატიმრები, რომ ჩემი პატიმრობა სახსენებელიც არ არის. ამას ვწერ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა, რომლებიც არ მოსწრებიან იმ რეჟიმს და დღეს მხარს უჭერენ მიშას, იცოდნენ სიმართლე, ნუ მოტყუვდებიან ცრუ პარტიული ტელევიზიების პროპაგანდით, გვკითხონ ჩვენ, თვითმხილველებს რა ხდებოდა მაშინ და შეადარონ დღევანდელ ვითარებას. ნუ ფიქრობთ, რომ მიშა გამოსწორდა, ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ დაიწყება ანგარიშსწორება იმაზე სასტიკი მეთოდებით, ვიდრე იყო, ამას არც მალავენ გვარამია, ბოკერია, უგულავა და ნაცხროვა, ნუ იფიქრებთ, რომ ეს თქვენ არ შეგეხებათ, ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება ციხეში მოხვდეს, არ ექნება მნიშვნელობა პატიოსნად ცხოვრობ თუ აშავებ რამეს. იცით რატომ არ აქვთ ნაცებს ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა მიუხედავად დღევანდელი გაჭირვებისა და უკმაყოფილებისა? იმიტომ რომ ძალიან ბევრნი ვართ ისინი, ვინც ჩვენ თავზე გადავიტანეთ ის ჯოჯოხეთი, ჩვენი ოჯახის წევრებს და ახლობლებს ძალიან კარგად ახსოვთ ყველაფერი და არასოდეს დაავიწყდებათ. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ეს ყველაფერი გამეორდეს და თქვენ ნახოთ ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ!..**

## ირაკლი გოგავა:

# დააბრუნებინეთ სააკაშვილს ნაძარცვი ღიად, გამჭვირვალედ და შარშანდელი თოვლივით გაქრება ის ქართული სინამდვილიდან, მთელ თავის კრიმინალურ ქსელთან ერთად!



**90-იან წლებში პალერმოს ყოფილმა პროკურორმა ლეოლუკა ორლანდომ, რომელმაც თავის დროზე სიცილიური მაფია მოთოკა, გვირჩია: საკმარისი არ არის მაფიოზი გყავდეს ციხეში, აუცილებელია მას ფული არ დაუტოვო, რომ შავი საქმეები აღარ აკეთოს ციხიდან,** — წერს სოციალურ ქსელში, ანალიტიკოსი **ირაკლი გოგავა**.

**— ნაციონალური მოძრაობა მაფიოზური სტრუქტურაა, ის ქვეყანას კრიმინალური მეთოდებით მართავდა. რეკეტი, დაშინება, ბულინგი, დაჭერა, რეპრესიები, წამება, ქონების ჩამორთმევა, ძარცვა, ცემა, ფარული გადაღებები, პირადი ცხოვრებაში შეჭრა, ნარკოტიკების და იარაღის ჩადება, ცრუ მოწმეები, გაუპატიურება, ფულის გათეთრება, მკვლელობები. ეს ყველაფერი იყო მათი მართვის ინსტრუმენტები. დღესაც არ ასვენებენ ხალხს და ქვეყანას. მათ აქვთ უზარმაზარი ქსელი, რომელსაც უხვად აფინანსებენ: ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები, არასამთავრობო ორიგანიზაციები, გაზეთები,საინფორმაციო ვებ-გვერდები, უცხოელი ლობისტები სხვადასხვა ქვეყანაში, საკომინიკაციო ფირმები, პოლიტტექნოლოგები, რამდენიმე პარტია. ამ ქსელის დაფინანსება წელიწადში მინიმუმ 200 მილიონი ლარი ჯდება. შემოწირულობებს კი ამ თანხის 1-2%-ს აჩვენებენ.**

**თუ გვინდა, რომ ამ ძალისგან დავისვენოთ, მათი დაფინანსები წყაროები უნდა გადაიკეტოს. ნაძარცვი ფული ოფშორებში და ანონიმურ ანგარიშებზე აქვთ. ცხადია, ძირითად ნაწილს თავად სააკაშვილი და მისთვის სანდო ხალხი განაგებს. მინიმალური დათვლებით მან 10 მილიარდ დოლარზე მეტი მოიპარა ხალხისგან შემდეგი ფორმებით: 850,000 საპროცესო გარიგება, 40,000 ბიზნესმენისთვის წართმეული ქონება, ჯარიმები, მსხვილი იმპორტიორების „სტავკა", გაყინული ხორცის ბიზნესი, მობილურების იმპორტის მონოპოლია, ფქვილის ბიზნესი, საწვავი, საკუთარი მონოპოლიები და კარტელები ყველაზე გაყიდვად საქონელზე, საგარეო ვალი, რომელიც მან გაასამმაგა, ფულის გათეთრება, ბიზნესის ტერორი, სახელმწიფო ანუ ხალხის ქონების პრივატიზაცია „ორმაგი კონტრაქტებით" („ბორჯომი", პორტები, ჰესები, უძრავი ქონება, მიწები, რკინიგზა მართვაში, საბაჟო ტერმინალები, სათამაშო ბიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების ტრანზიტი და ბრუნვა, წიაღისეული და ა.შ. (დაამატეთ, თუ რამე გამომრჩა)**

**90-იან წლებში პალერმოს ყოფილმა პროკურორმა ლეოლუკა ორლანდომ, რომელმაც თავის დროზე სიცილიური მაფია მოთოკა, გვირჩია: საკმარისი არ არის მაფიოზი გყავდეს ციხეში, აუცილებელია მას ფული არ დაუტოვო, რომ შავი საქმეები აღარ აკეთოს ციხიდან.**

**დააბრუნებინეთ სააკაშვილს ნაძარცვი ღიად, გამჭვირვალედ და შარშანდელი თოვლივით გაქრება ის ქართული სინამდვილიდან, მთელ თავის კრიმინალურ ქსელთან ერთად. არსებობს კერძო საძიებო ფირმები, რომლებიც ორ-სამ თვეში მიწიდან ამოიღებენ თუ რამე სადმე აქვთ გადამალული"...**

**მთავრობამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყვიტა ფარმაცევტულ სექტორში არსებულ ტოტალურ გაძვირებასთან ბრძოლა. პრემიერ-მინისტრი სწრაფ გადაწყვე-**



# თავგასული ფარმაცევტების ალაგმვა საბოლოოდ გადაწყდა!

**ტილებებს და ნაბიჯებს ითხოვს. ჯერჯერობით წინააღმდეგობას ვერ ბედავენ სააფთიაქო ბიზნესის წარმომადგენლები, თუმცა ისინი მოგების უზარმაზარ მარჟას ასე ადვილად რომ არ დათმობენ, ამას ლაპარაკი არ უნდა.**

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის შუალედური ანგარიში, რომელიც მთავრობის მეთაურს რამდენიმე დღის წინ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი ლექვინაძემ** გააცნო, ეკონომიკური საბჭოს ფორმატში განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც, მედიკამენტების მაღალ ფასებთან დაკავშირებული გამოწვევის დროულად გადასაჭრელად, რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა გადაიდგას.

**„უკვე წლებია, ასე განვითარდა ეს პროცესი და საჭიროებს სწორად ჩარევას ჩვენი მხრიდან. რეალურად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც არის ევროპის ქვეყნებში. ახალს არაფერს ვიგონებთ, საკითხი უნდა დარეგულირდეს იმიტომ, რომ მოსახლეობას ძალიან აწუხებს. მედიკამენტების ფასები არის ძალიან გაზრდილი და ვალდებული ვართ, ამაზე მოვახდინოთ რეაგირება, თანაც დროული. მინდა, ამ ფორმატში ვიმსჯელოთ და დავიწყოთ რეაგირება და ქმედება“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის გაანგარიშებით, ახალი რეგულაციის საშუალებით შესაძლებელი იქნება, წამლების ფასი 40-50%-ის ფარგლებში შემცირდეს, რაც თითო ოჯახს ჯანდაცვის ხარჯს, მინიმუმ, 15%-ით შეუმცირებს.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს?

ფარმაცევტულ კომპანიებს კონკრეტული მედიკამენტებისთვის შესაძლოა, რეალიზაციის ღირებულების ჩარჩოები დაუწესდეთ. ბაზარი ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ინტეგრირებულია — მსხვილი კომპანიები საცალო ბაზარზე წარმოდგენილი არიან ქსელური აფთიაქებით (ჰორიზონტალური ინტეგრაცია), თავად ახორციელებენ პროდუქტის იმპორტს, წარმოებასა და საბითუმო მიწოდებას (ვერტიკალური ინტეგრაცია), ფლობენ კლინიკებსა და სადაზღვევო კომპანიებს, ეს კი კონკრეტულ ჰოლდინგურ ჯგუფს — ჯგუფებს ანიჭებს საბაზრო ძალას, — იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა მედიკამენტების გამოწერაზე პასუხისმგებელ პირებზე, რის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა, არ გამომდინარეობდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან და შეესაბამებოდეს კონკრეტული ჰოლდინგური ჯგუფის — ჯგუფების კომერციულ და ბიზნესის ინტერესებს.

კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ირკვევა, რომ ფასწარმოქმნა გენერიკულ მედიკამენტებზე და ასევე იმ მედიკამენტებზე, რომელთა იმპორტიც ქვეყანაში ხდება გენერიკული დასახელებით და საცალო ბაზარზე შემდეგში ხელმისაწვდომია კონკრეტული სავაჭრო დასახელებით, შესაძლოა, იყოს პრობლემური. საკითხის აქტუალურობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება გენერიკულ მედიკამენტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად. ამ მიმართულებით სასურველია ფასის რეგულირების ევროპული პრაქტიკის გაზიარება.

მედიკამენტების მაღალი ფასი მოსახლეობას განსაკუთრებულად აწუხებს, ამიტომ საკითხზე მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით — პანდემიის პირობებში, როცა კოვიდინფიცირებულების უმეტესობა მკურნალობას სახლის პირობებში, საკუთარი სახსრებით გადის.

როგორც ჯანდაცვის ექსპერტმა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ აღნიშნა, „ახალი ველოსიპედის გამოგონება“ სულაც არ არის საჭირო, რადგან ხელისუფლებისთვის კარგად არის ცნობილი გზები, რომლებითაც პრობლემის მოგვარება იგეგმება.

**„ხელისუფლებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც უნდა გაკეთდეს. ამ საკითხზე ადრეც იყო ყურადღება გამახვილებული. მას შემდეგ, რაც უნივერსალური ჯანდაცვა შემოვიდა, პრობლემად რჩება მოსახლეობისთვის სწორედ მედიკამენტებზე დანახარჯები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ხალხის გაღარიბებას იწვევს. ჯანდაცვის კომიტეტში ჩემი მუშაობისას ჩატარდა 6-თვიანი მოკვლევა, ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, დაიდო რეკომენდაციები, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ხარისხიან წამლებზე ხელმისაწვდომობა.**

**ვფიქრობთ, რეგულაციით შესაძლებელი გახდება, ადმინისტრაციული ბარიერები მოიხსნას, კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს და წამლის ფასი მისაღები გახდეს. სასიცოცხლოდ აუცილებელია, სიმბოლურ ფასში იყიდებოდეს წამლები ქრონიკული ავადმყოფებისთვის, ხოლო თუ მოქალაქე სოციალურად დაუცველია, თანაგადახდის მექანიზმი არსებობდეს. ასე სწორად თუ მივუდგებით ამ საკითხს, შევძლებთ, ჯანდაცვაზე დანახარჯი ოჯახს 15%-ით შეუმცირდეს, ხოლო წამლებზე ფასმა, მინიმუმ, 40-50%-ით დაიკლოს, ეს სავსებით რეალურია“,** — განაცხადა ზოიძემ.

როგორ აფასებს ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია კონკურენციის სააგენტოს პირველად ანგარიშს და რა გავლენა ექნება უწყების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ბაზარზე? — **ირაკლი მარგველაშვილი** ამბობს, რომ კვლევა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს არსებულ ვითარებას რეალურად აღწერს. მეწარმე სუბიექტების დიდი ნაწილი ცვლილებებისთვის მზადაა.

მარგველაშვილის აზრით, ნებისმიერი ხარისხობრივი გაუმჯობესება ყოველთვის მტკივნეული პროცესია, მაგრამ თუ ფარმაცევტულმა ბაზარმა ეს გზა არ გაიარა, სულ იქნება საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად ხარისხიანია მედიკამენტი და აქვს თუ არა სწორი ფასი. რთულია იმის თქმა, შეზღუდვას რა მოჰყვება, რადგან ბაზარმა შეიძლება განიცადოს უარყოფითი შედეგები, როგორც მედიკამენტების ფასებზე, ასევე მიწოდების უწყვეტობაზე და ხარისხის კონტროლზე.

**„ყველაფერი, რასაც ფარმაცევტული კომპანიები აკეთებენ, ჯანდაცვას ეხება. სხვა ინდუსტრიაში შეიძლება თამამად ვთქვათ რა არის არაპროფილური, მაგრამ თუ კომპანია ჯანდაცვის სფეროში ოპერირებს, მაშინ სხვა სფეროს ვერ დავარქმევთ. თუმცა, პაციენტის ინტერესის დაზარალების რისკები, რა თქმა უნდა, არის და ეს რისკები უნდა შევისწავლოთ. რეგულაცია სწორედ ამის შემდეგ უნდა მივიღოთ.**

**პრობლემის მოგვარება შესაძლებელია არა ჰოლდინგის დაშლით, არამედ სხვა რეგულაციების ამოქმედებით. ეს პროცესები თუ დალაგდება, არანაირი სტრუქტურული ცვლილებების მოთხოვნა საჭირო აღარ იქნება. ერთმნიშვნელოვნად არ ვუჭერთ მხარს იმას, რომ ჰოლდინგური სტრუქტურა დღეს დაშლას საჭიროებს“,** — განუცხადა „კომერსანტს“ მარგველაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც იგი ყურადღებას ამახვილებს, ელექტრონული რეცეპტის ერთიანი სისტემის დანერგვაა. მისი თქმით, თუ აღნიშნული რეფორმა საქართველოს მთავრობამ არ გაატარა, მედიკამენტების არამიზნობრივად გამოყენებას ქვეყანა ვერ მოერევა.

**„ზოგიერთი რეგულაცია ბევრ ქვეყანაში განსხვავებულია, ერთადერთი რაშიც ყველა თანხმდება, ეს არის გამოწერილი რეცეპტის მონიტორინგი. სწორედ მონიტორინგის უწყვეტი ნაწილი არის ელექტრონული რეცეპტი, ამის გარეშე ჩვენ პოლიპრაგმაზიას ვერ მოვერევით. ამის იმპლემენტაცია სავსებით რეალურია, ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო უკვე ჩატარებულია. პრობლემის გადაჭრაზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა გვქონდეს რეალური მონაცემები, რისთვისაც აუცილებელია ბაზა“,** — აღნიშნა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა.

**ბექა დანელია**

# ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის...

## ხალხი - წამლებისა და მკურნალობის გაძვირების ტერორში!

**წამლების უსაშველოდ გაძვირებაზე, მრავალ ჩემს კოლეგასთან ერთად, ადგილობრივი თუ რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან ადრეც გამომითქვამს პროტესტი, მაგრამ — რა? — „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“... ვყეფთ, მაგრამ ამ უხილავ „ნადირს“ ვერ ვაფრთხობთ!...**

ახლაც არ შემიძლია გავჩუმდე! ამჯერად ჩემი შინაგანი პროტესტის „ამოხეთქვას“ გზა მისცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (3.XI). გამოქვეყნებულმა საოცარმა წერილმა. მისი ავტორია გარდაბნელი პენსიონერი და სახალხო განათლების წარჩინებული **ბონდო კალანდაძე**. ეს სულ რაღაც ნახევარგვერდიანი წერილი გაზეთის რედაქტორს ისე მნიშვნელოვნად მიუჩნევია, რომ მეორე გვერდზეა გამოქვეყნებული, თანაც შედარებით მსხვილი შრიფტით.

წერილის ავტორი კრიტიკის ალში ახვევს „ნაცებსაც“ და „ქოცებსაც“ და ხალხის წინაშე მდგარ პრობლემებს კატეგორიული ტონით წარმოაჩენს.

აი, რამდენიმე ფრაგმენტი ამ წერილიდან:

„თქვენს „გმირ ოპოზიციას“ წელიწადზე მეტია ამდენი შანტაჟებისა, ბოიკოტისა, პარლამენტში შეჭრის მცდელობისა და მავნებლობისათვის უხდით ხელფასს?! როცა ბავშვები შიმშილით გვიკვდება, პენსიონერები წამლებს ვერ ვყიდულობთ, ოცი წელია ქვეყანას ანგრევს მიშა-კალიგულა და მისი ხროვა! ნიკა მელიას და სააკაშვილს გადავაყოლოთ ქვეყანა?!“...

**...„ბატონებო,** რადგან მთავრობა ვერ ახერხებს მედიკამენტებზე ფასების ყოველდღიური კატასტროფული ზრდის შეჩერებას (რითაც მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ) **ხომ არ გადადგებით?!“**

„კატასტროფა გვაქვს განათლების სისტემაშიც!“. ხედავთ? — სახალხო განათლების წარჩინებული ამბობს: „კატასტროფა გვაქვს განათლების სისტემაშიც“-ო! (ამ თემაზე წერილს შემდეგ შემოგთავაზებთ. უ.ჯ.)

უფრო მეტიც: სამჯერ გამარჯვებულ „ქართული ოცნების“ მთავრობას მოუწოდებს გადადგომისკენ, რადგან წამლების გაძვირებას ვერ აჩერებთო!

ყურადღება მივაქციოთ: „საქართველოს რესპუბლიკა“ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გაზეთია და, მიუხედავად ამისა, გაზეთის რედკოლეგიამ პენსიონერის წერილიდან არ „ამოიღო“ მთავრობის გადადგომის მოთხოვნა!! რატომ? — იმიტომ რომ, ყველას მართლაც „ყელში ამოუვიდა“ (არა მარტო პენსიონერებს და ავადმყოფებს) მედიკამენტების გაძვირების აღვირახსნილი კამპანია. ცენტრალურ მთავრობას საამისო პასუხიც აქვს: სამაგიეროდ, ხალხს წამლების შეძენაში და სტაციონალურ მკურნალობაში ხომ ვეხმარებითო! **ეს სიმართლეა და საამაყო სიმართლეც!** ზოგიერთებისთვის ეს დახმარება (მაგალითად, საოპერაციოდ) განსაცვიფრებელ თანხებს აღწევს!

გასაოცარია წამლების გაძვირების საზღვრებიც, **იმდენად, რომ — ფანტასტიკური!** წამლები გაძვირებულია არა ორჯერ, ან ვთქვათ, 5-ჯერ, 10-ჯერ თუ 20-ჯერ, არამედ 100, 200, 300, 400 და 500 პროცენტითაც კი(!!).

ვეკითხები ჩვენს მკითხველებს: სადაც ეს ხდება, იქ ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის? იქ ბიზნესის განვითარებაა? ეს ხომ არა მარტო ადამიანების, სახელმწიფოს დაცინვაა! ეს ხომ ვითომ ბიზნეს-დისტრიბუტორების თავხედობა და ცინიზმია ავადმყოფი ადამიანების მიმართ გამოვლენილი! „ბიზნესი ხელშეუხებელია!, — მაგრამ განა ეს ბიზნესია? ეს ქაოსია, რომელსაც უნდა არეგულირებდეს სახელმწიფო. **რას აკეთებს ანტიმონოპოლიური სამსახური? — გამოდის, რომ არაფერს!** იგივე შეიძლება ითქვას ბენზინის გაძვირებაზეც. ხშირია შემთხვევა, მთელ მსოფლიოში ბენზინი გაიაფებულა, იმავდროულად საქართველოში კი გაძვირებულა(!).

ამ ვაი-ბიზნესმენებს აპარპაშებენ ისევ **უბრალო ხალხის ძარცვის და ფსიქოლოგიური ტერორის ხარჯზე! დიახ, მარტო „მედია-ტერორი“ ან „პარტიული ტერორი“ კი არ არის „გაფურჩქნილი“ ჩვენს ქვეყანაში, არამედ პროდუქტების, და პირველ რიგში, მედიკამენტების გაძვირების ტერორიც!**

მდიდართა ფენა, მოსახლეობის 10-15 პროცენტი ამ „ტერორს“ უძლებს, ფული აქვთ და იხდიან, დანარჩენები კი არსებობისთვის ჭაპან-წყვეტაში არიან! ამიტომ არის, რომ არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ ნახევარი ცხადდება, არც ნდობა არის და არც მოცლა, ამიტომ არის, რომ მიგრაცია დიდია, სოფლები ცარიელდება, დემოგრაფია კატასტროფის პირასაა და აგერ, გაერომ ქართველი ერი 2050 წლისათვის მომაკვდავ ერად გამოაცხადა!

იხ. 9 გვ.





# ოსტაპ ბენდერთან შეზავებული ფაშიზმი

## ბოროტებას თუ თავის დროზე არ აღმოფხვრი, ის დაბრუნდება!

**შეწუხებული კი არა, შეძრწუნებული ვარ ჩემს სამშობლოში არსებული ვითარებით. ერთხანს თავს ვიკავებდი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისზე ფიქრებისგან, მაგრამ ფიქრი და აზრი ჩემს ნებას უკვე არ ემორჩილება. ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მეტისმეტი გაუგებრობაა!**

**გაუგებრობა? – არა!**

**ეს არის სიბნელე, სიჩლუნგე…**

**ნუთუ 30 წელი საკმარისი არ არის, რომ ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსოს და ხალხი ხალხს? დიახ, 30 წელია უკვე, რაც თავი დავიხსენით ეგრეთ წოდებული უფროსი ძმების კლანჭებისგან, გავხდით, თითქოს დამოუკიდებლები და რა მივიღეთ? – მგონი – ქაოსი! ვტრაბახობთ, უძველესი საუკუნეებიდან მოსული ხალხი ვართო, სახელმწიფოებრიობა მაშინ გვქონდა, როცა ევროპის კონტინენტს ჯერ კიდევ სძინავდაო. ამერიკაზე რომ არაფერი ვთქვათ რა…**

მართლაც ასეა, მრავალფეროვანი, მრავალჭირნახული, საომარი თუ სამოქალაქო ცხოვრების საინტერესო ფაქტებით სავსეა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ამის შესახებ უძველესი დროიდან ამბობდნენ, წერდნენ და დღემდე აღნიშნავენ არა მხოლოდ ჩვენი ისტორიკოსები, არამედ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები, მკვლევარები, ფილოსოფოსები, მოგზაურები… რა მერე? საამაყოა ეს ყველაფერი, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების არეულ-დარეული სურათების შემყურე, გაკვირვებული და დაეჭვებული ვარ. ნუთუ ჩვენა ვართ ის ხალხი, ვინაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია შეიმოქმედა და თავისი კულტურის, ცივილიზაციის ეტაპობრივი განვითარებით დღემდე სრულყოფილად მოვიდა?

არა, არა! თავს ნუ მოვიტყუებთ, გასულ საუკუნეებს თავისი მივაგოთ, მაგრამ დღევანდელობას სალი თვალი გავუსწოროთ, შავი ფერი თეთრისგან გავარჩიოთ. ბოროტებას საკადრისი პასუხი გავცეთ. კეთილი საქმეების მკეთებელი გავამხნეოთ. ვფიქრობ, რომ ასე უნდა მოვიქცეთ, თუ წინსვლა გვინდა, თუ გვინდა, რომ საუკუნეებით წინ გასწრებულ ევროპას დავუმეგობრდეთ, დავუახლოვდეთ.

ყოველივე ამისთვის დიდი ძალისხმევა გვმართებს. შრომისმოყვარეობით, კანონმორჩილებით და წესრიგით უნდა დავანახოთ მსოფლიოს ჩვენი კულტურა, დავარწმუნოთ ყველანი, რომ მართლაც ისტორიული ხალხი ვართ, ღირსეული ხალხი! და ამის ნაცვლად, რა გვჭირს, რა გვემართება, როგორი სოციალური, ყოფითი, თუ პოლიტიკური გარემო შევიქმენით!

არ შეიძლება პოლიტიკა დავარქვათ იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში!

და არა მარტო დღეს, უკვე რამდენიმე წელია… სახელმწიფოს, მთავრობას, ქვეყნის სწორი გზით წამყვან ძალას, რომელიც მართალია უსაქმურად არ არის (ახლა მისი ნახელავი საქმეების ჩამოთვლას არ ვაპირებ), მაგრამ ნამდვილად მეტი შეეძლო ხალხთან ერთად!

მეტი შეეძლო და ვერ შეძლო, ვფიქრობ, იმიტომ, რომ სად არის ხალხი?! იგი (ხალხი) ხომ მთლიანი, ერთიანი არ არის. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი სულ სხვაგვარად აზროვნებს იმ ვაიპოლიტიკოსთა გამოისობით, რომლებიც ქვეყანას, უკვე კარგა ხანია, წლების წინ უკუღმართად განვლილი ცხოვრებისკენ ექაჩებიან.

მიზანი – ძალაუფლების მოპოვებაა, მთავრობაში დაბრუნებაა. მათი ამ „უზენაესი“ მიზნის გამო, უკვე რამდენიმე წელია, ხალხს, ჩვეულებრივ ნათელი გონების მქონე ადამიანებს, მოსვენება არა აქვთ.

იმ „ვაიპოლიტიკოსებს“ ოპოზიცია ჰქვიათ. ჩემი აზრით, ისინი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უცნაურად იქცევიან. სიმართლე თუ გინდათ, ისინი მტრულად ეპყრობიან ხალხსაც და ქვეყანასაც. აბა სხვა რა დავარქვათ მათ ბოიკოტს პარლამენტში, სადაც უამრავი საქვეყნო და სახალხო საქმის გაკეთება შეუძლია პასუხისმგებლობის მქონე ადამიანს. რა დავარქვათ მათ გამალებელ წინასწარ პიარს ჯერ კიდევ მომავალი არჩევნების „გაყალბების“ შესახებ?!

რა დავარქვათ მათ ურწმუნოებას ცესკოსადმი, ან მთავრობის ნებისმიერი საქმიანობისადმი.

რა დავარქვათ, უკვე ყველასათვის ცნობილ, სიცრუის ტელევიზიებიდან შხამის ნთხევას და მერყევი ადამიანების გონების მოწამვლას, დიდი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახისადმი დამახინჯებული ინფორმაციების გავრცელებას?!

რა თქმა უნდა, ოპოზიცია ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს, მთავრობის საქმიანობას აკვირდებოდეს მეთვალყურისა და კეთილისმდომელის, ხელისშემწყობის პოზიციიდან… ის ინტრიგები, გაუთავებელი, შეუსაბამო ბრალდებები, პარლამენტში ხელოვნურად შექმნილი აურზაური საქმიანობის ჩასაშლელად, აშკარად მეტისმეტი და მიუღებელია!

ჩვენი დღევანდელი მთავრობა შეუცდომელი როდია. ოპოზიციასთან გაუთავებელმა ბრძოლის ფაქტმა, ამ ბრძოლაში ნაციონალური მოძრაობის ანუ ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე უტეხი და ურცხვი ფლანგის (პირდაპირ ვთქვათ, დამნაშავე პარტიის!), ყელყელაობამ, მთავრობაც აიყოლია. ამით მისი უპრინციპობა გამოამჟღავნა და შედეგად ქვეყნის ყველა სასიცოცხლო მიმართულების სტაგნაცია გამოიწვია, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ. ეს უკანასკნელი უბედურება მთელ მსოფლიოშია მოდებული და კარგს არაფერს უქადის კაცობრიობას, მაგრამ ჩვენი სამშობლო განსაკუთრებით დაგვიჩაგრა. აქაც, ხალხი მთავრობას უყურებს უმადური თვალით. და გასაკვირი არც არაფერია, ჩვენ ხომ ასე გავიზარდეთ, ხალხი თუნდაც ყალყზე დგებოდეს, კვიცებივით მიხტუნავდნენ ჭაკების წინ, დიახ, მაინც მთავრობამ უნდა მოგვიაროს!.. არადა, სინამდვილეში **„ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, თითოეულ ადამიანზე, მის გადაწყვეტილებაზე: არ უნდა დავუშვათ ეს, ეს არ უნდა მოხდეს.“** გვეუბნება მეოცე საუკუნის გერმანელი ფსიქოლოგი, ექიმი და ფილოსოფოსი, კარლ ასპერსი, და ამ აბზაცის შემდგომმა სიტყვებმა: **„…ის, რაც თავს გადაგვხდა- გაფრთხილებაა, ამ ავბედითობის დავიწყება ნიშნავს თავს ვიდოთ ბრალი. საჭიროა, მუდამდღე გვახსოვდეს გარდასული, რაც მოხდა, ნამდვილად მოხდა, განხორციელდა და მისი კვლავ განხორციელება შესაძლებელია. მხოლოდ ამნაირ შეგნებას შეუძლია გვიხსნას მისი განმეორებისგან“ (ჩხენკელი თამაზ – „თვალსაწიერი“. გვ.93)**. საუბედუროდ, ვერ ვისწავლეთ, ავბედითობის დავიწყება რომ არ შეიძლება! რატომ არ გვჯერა, რომ ბოროტებას თუ სათანადოდ არ გაუსწორდები, თუ თავის დროზე არ აღმოფხვრი, ის დაბრუნდება! მთავარი ის არის, რომ არც დღევანდელმა მთავრობამ დაიჯერა გარდასულის განმეორების შესაძლებლობა, 2012 წლამდე არსებული რეჟიმის განმეორება.

**არ დაიჯერა, რომ შეიძლება კვლავ მოგვიბრუნდეს ოსტაპ ბენდერთან შეზავებული ფაშიზმი. და აი, თუ არ დაიჯერა, იქნებ ახლა მაინც მიხვდეს თავის შეცდომას, ევროპის წინაშე თავის მოსაწონებლად ბოროტებასთან კოჰაბიტაცია რომ გადაწყვიტა. მიხვდება ალბათ, თუ უკვე გვიან არ არის! გვიან იმიტომ, რომ ბოროტებამ, თავისი აქტიური ბუნებით, ხალხის გარკვეულ ნაწილსაც კი გონებიდან ამოუშანთა არცთუ დიდიხნის წინანდელი ავბედითობა. ყველამ ვიცით, რა როგორ იყო, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, ყველაფერი უბედურება დაივიწყეს ზოგიერთებმა, არ დავიწყებიათ მხოლოდ იმ დროს დაღუპული შვილების ცრემლგაუმშრალ დედებს, არც ქონებაწართმეულ, უსახლკაროდ დარჩენილებს, არც კობა დავითაშვილის, მოლაშვილებისა და მათ მსგავსად უსამართლოდ სიცოცხლემოსწრაფებულთა ოჯახებს.**

„სამართალი“ მაშინ იყო თუ იყო! ახლანდელ სამართალთან რა შედარებაა, მაგრამ არ უნდა დავუკარგოთ მეხსიერებაშეზღუდულებს ერთი ნათელი ფერის გამოციმციმების არდავიწყება – მსოფლიოს თავი რომ მოაჩვენა დემოკრატიის ვარსკვლავად, იმ დროის გმირმა. მართლაც ასე დაიწყო… სახელმწიფოს მშენებლობა… ხალხიც მიენდო, ხოლო შემდგომ, თავისივე ხელით დაასამარა კეთილად წამოწყებული საქმე. საუბედუროდ, მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ახლა ციხეშია. რა თქმა უნდა, არ არის ეს ჩვენი მოქალაქეებისათვის სასიხარულო ამბავი, მით უფრო არც საამაყო! ვინატრებდი, რომ ეს ასე არ მომხდარიყო.

**მაგრამ სახელმწიფოს სამართალი თუ მყარია და უდრეკი, თუ გვინდა, რომ ისტორიის დასაცინი არ გავხდეთ, ეს ასე უნდა მომხდარიყო. დანარჩენი სასამართლომ თქვას. ერთი კი ცხადია, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის და ეს სიცხადე გერმანელებმა დაანახვეს მსოფლიოს, როცა ჰიტლერი და მისი ფაშისტური პარტია კანონის უზენაესობით გაასამართლეს და აღკვეთეს პირისაგან მიწისა. განა ჰიტლერმა არ შექმნა გერმანიის უძლიერესი სახელმწიფო? მაგრამ ნებასმიშვებულმა ფიურერმა თავადვე დაანგრია ის და გერმანელ ერს დიდი უბედურება მოუტანა!**

რა ვქნათ ახლა, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, მივუშვათ ნებას ჩვენი არაადეკვატური, სამარცხვინო სააკაშვილი, მისი დამნაშავე ნაციონალური პარტია, მისი მომხრე, „შეცდომილი ძენით სავსე კოლონები“ და დავანგრევინოთ ქვეყანა? საქმე ხომ სწორედ აქეთკენ მიდის, დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომისკენ.

ათასობით მომიტინგეთა ქუჩაში ყოველდღიური უსაფუძვლო ყვირილი და აურზაური დამნაშავეს ჩირქს ვერ ჩამორეცხს, ვერც ჩვენს ეკონომიკას გააძლიერებს, ვერც ჩვენს კულტურას დაამშვენებს. პირიქით, აღნიშნული პარტია გზადაგზა კიდევ უფრო მეტ დანაშაულობებს ჩადის, ისე უმართავს ხდის პროცესებს, რომელ მტერს არ გაუჩნდება სურვილი ისარგებლოს ამ არეულობით და თავზე დაგვაქციოს ქვეყანა. ნუთუ ჰგონიათ, რომ საზღვარგარეთის, ევროკავშირის ელჩებთან ან ამერიკელ სენატორებთან საკუთარი მთავრობის დაბეზღებით გვეშველება რამე?



თუ გვიფიქრია ამის შესახებ?!

**გულნარა სტურუა**



## ალეკო ელისაშვილი: კერძო კლინიკაში გადაყვანაზე სააკაშვილის მოთხოვნა გაუგებარია, არ მიმაჩნია, რომ პოლიტპატიმარია, იქ არის, სადაც უნდა იყოს!

**პარტია „მოქალაქეების“ ლიდერის ალეკო ელისაშვილის აზრით, მიხეილ სააკაშვილის მე-18 დაწესებულებაში გადაყვანის კადრების გავრცელება ულირსი საქციელია. რაც შეეხება სააკაშვილის შიმშილობას და კერძო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნას, ელისაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ეს მოთხოვნა გაუგებარია. „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და პირადად მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით დიდი უპირატესობა ჰქონდა, ციხეში ადამიანებს ადამიანურად ექცეოდნენ და არა ულირსად. „ქართული ოცნების“ მხრიდან იმ კადრების გავრცელება ულირსობა იყო და ეს უპირატესობა დაკარგეს, რაც ცუდია, რადგან ვინც არ უნდა იყოს, მას არ უნდა მოექცე ულირსად.**

**სიმდაბლეა, როცა ადამიანს თავის საქციელს ასე უბრუნებ. სახელმწიფოსთვის სამარცხვინოა, რომ ყოფილი პრეზიდენტი ქვეყანაში არაჟნის ყუთებით შემოიპარა არეულობის მოწყობის მიზნით. რატომ შიმშილობს? – ციხიდან გამოშვებას ყველა პატიმარი მოითხოვს და შიმშილობას დაიწყებს. ყველამ იშიმშილოს და გამოვიდეს? მისი მოთხოვნა კერძო კლინიკაში გადაყვანაზე გაუგებარია. ამბობს, მკლავენ ციხეშიო და ჭამოს. არ მიმაჩნია, რომ პოლიტპატიმარია და იქ არის, სადაც უნდა იყოს, მაგრამ როგორც მოიქცნენ, ეს იყო ულირსობა“, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.**

# იმედია, ისევ ავქართველდებით!

**კომუნისტურ ჯოჯოხეთში, ულმერთობაში დავიბადე, უფლის სიყვარულს გვიკრძალავდნენ. სამლოცველოები, ეკლესია — მონასტრები დაგვინგრიეს, სისხლისმსმელები, უფლისმოძულენი გააღმერთეს... მსგავსი სისასტიკე ადამის მოდგმას არ ახსოვს. ბავშვობიდან ბელადებზე ლექსებს გვასწავლიდნენ „ჯუღაშვილი დედამ გშობა, და სტალინი საუკუნემ“. „მზის შუქში განათებული ქალაქი ოქროსფერია, ცოცხლობდეს დიდი სტალინი, ცოცხლობდეს ჩვენი ბერია.“ „ჩვენ ლენინმა გვიანდერძა სწავლა, სწავლა, სწავლა მუდამ.“ „დიდია ჩვენი სამშობლო, დიდი საბჭოთა კავშირი, შავ ზღვიდან ყინულეთამდე, გადაჭიმული გაშლილი.“ „წინ უკვდავების შარა გაკაფა, და ამ შარაზე მიდის სტალინი.“**

სამშობლოც შეგვიცვალეს, რწმენაც. დიდგორის მაგიერ, გვასწავლიდნენ ივანე მრისხანეს, ჩუდის ბრძოლას. აგვიკრძალეს გორგასლის, აღმაშენებლის, ხსენება... სკოლაში აღდგომის მეორე დღე ჯოჯოხეთი იყო მრავალთათვის. მერხზე ხელებს დაგვაწყობინებდნენ, სკოლის დირექტორი, პიონერთა ხელმძღვანელი, კომკავშირის მდივანი, გულმოდგინედ გვითვალიერებდნენ ხელის გულებს, თითებს, თუ ვისმეს შეწითლებულ ფერს აღმოუჩენდნენ ხელზე, ვაი-უშველებელი სახაზავი დაგვატყდებოდა თავს. ჯერ პიონერი იყავი, მერე კომკავშირელი, მერე... მერე რაც უფრო მეტად იყავი ნაქლაქი, გაიძვერა კომუნისტობითაც გაჯილდოებდნენ... 80-იან წლებში საქართველოში 600 000 კომუნისტი იყო, კომუნიზმის, ამქვეყნიური სამოთხის მშენებელი... ბოლოს, როგორც ყველა იმპერია, სიცრუის, ბოროტების იმპერიაც დაინგრა. აშენებულ კუმუნიზმს ახლაც ეძებენ, მაგრამ ვერსად იპოვეს... მერე იყო არჩევნები და უდიდესი სიხარული... ხალხში მამულის სიყვარულმა გაიღვიძა, აირჩიეს ხალხის ხელისუფლება... მაგრამ ... ქართულად მოლაპარაკე ეშმაკებმა, უფლისმოძულეებმა, ვითომ ქრისტიანებმა შობის მარხვაში იარაღით, ცეცხლით და მახვილით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, და... ჩამოდგა ჯერ არგაგონილი განუკითხაობის ჟამი... „სხვა დრო, სხვა ჟამი ჩამოდგა“... ქვეყნის მოღალატეებმა სამშობლოს სიყვარულისთვის დასაჯეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მამულიშვილები, პარლამენტარები, უფლის მოლაშქრენი... დღევანდელი სინამდვილე იმ ხენეში ხის ხენეში ნაყოფია, რომელიც 30 წლის წინ სიგუა-კიტოვანი-იოსელიანის ბანდებმა დარგეს... დღეს ქვეყანაში ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს. კომუნისტური ჯოჯოხეთის დროს ერთი მტერი რუსული იმპერიული რეჟიმი გვყავდა, დღეს კი... ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ, ამდენი დაუძინებელი, შინაური, გარეული მტერი, დღეს რომ გვყავს, საქართველოს არასოდეს ჰყოლია... ამდენი ქართულად მოლაპარაკე ღვთისმგმობელი, ქართველთმოძულე არასამთავრობო ორგანიზაციები, ვითომ პარტიათა ყაყან-ქაქანი, საშოგამომხმარ დიაცთა წივილ-კივილი... რა სპექტაკლები არ ვნახეთ, ა, ეს არის თქვენი მომავალი პრეზიდენტიო, გახსოვთ, როგორ გაგვაცნო შევარდნაძემ უწიგნური, კაგებეს სკოლადამთავრებული ხუნტრუცა სააკაშვილი, ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილი.

„სააკაშვილი მიშაო,
ბოროტებისგან იშვაო,
ქვეყანა რუსს მიაბარა,
დაამახინჯა შიშმაო“.

— მღერის ჩემი მეზობელი. ზოგიერთმა ქალბატონმა ოქროულობა, ნიშნობის ბეჭდებიც მოაგროვა და თურქეთის ბაზრებში ნიფხავ-კაბებზე გადაცვალა. ღირსებააყრილ, განვითარებად ქვეყნებს შორის მოიხსენიება ერთ დროს ევროპული რენესანსის მესაძირკვლე ქვეყანა, შემოქმედი, უნიჭიერესი ერი. ამდენი ჭკუის დამრიგებელი, ჭკუის მასწავლებელი გაეროდან დაწყებული, ევროკავშირით დამთავრებული დღეს რომ გვყავს, საქართველოს არასოდეს ჰყოლია... ერთი სიტყვით, საქართველო დაგვეკარგა და დავეძებთ ბნელში ქართველები ერთმანეთს. დღეს ქართლის ჭირს, მართლაც ვერვინ მოთვლის...

არ მეგონა, თუ დაგვიბრმავდებოდა, უფლისკენ მაცქერალი თვალი და უსულგულობა, უკეთურობა დაგვრევდა ხელს. არ მეგონა, თუ ასე დაასენიანებდა სულს ძველთაძველი სენი, „განცხრომა, ჭამა, ყიზილბაშური ხორცით გასვენება, ტყუილი, კეკლუცობანი, სიძვა-მრუშობა“.

არ მეჯერა, საქართველო რუსეთის იმპერიალისტურ ხახას თავდაღწეული, პატარ-პატარა პარტიებად, უფლისა და ქვეყნის მოძულე არასამთავრობო ორგანიზაციებად თუ დაიშლებოდა და გამეფდებოდა „სირეგვენე შეუწონარი“.

არ მეგონა, თუ ასე გახმებოდა „ყანა უფლისა“, აეკვრებოდა მუცელი ზეცას და დაეცემოდა სული მიწას. არ მეგონა, ქვეყანა, უმწეო, უპირატესობათა მტკიცების ასპარეზი თუ გახდებოდა. უფალო, მოჰგვარე სათნოება და გონიერება ქართულად მოლაპარაკე ეშმაკებს, ულმერთოებს, მოღალატე არასამთავრობოებს, მუქთამჭამელ პარტიებს... მამულის ბედი უფლისა და სამშობლოს მოყვარულ მამულიშვილებს მიამადლე, მოგვაშორე უფლის მგმობელნი, მოყვასის მოძულენი... უფალო, აღადგინე სამართალი!



იმედია, დაგვიბრუნდება მხედველობი სულისა, ეშმაკისეულ კნავილ-ბღავილს „ლილეო, მრავალჟამიერი“ შეცვლის, ისევ სიყვარულით აძგერდება გული საქართველოისა, იმედია...

იმედია, ისევ ავქართველდებით!

**ირაკლი ვაშაყმაძე**



## ლევან ლორთქიფანიძე:
# თუ პუტინის მთავარი მიზანი სააკაშვილის განადგურებაა, რატომ უჭირს საკითხის გადაწყვეტა?

**ლეხ კაჩინსკის წირვა გამოუყვანა, სკრიპალებს დედა უტირა, ლიტვინენკოს საავადმყოფოს ლოგინზე ამოხადა სული, კიდევ რამდენი ჩამოვთვალო...**

**რამდენიმე კითხვა მაქვს:**

1. რაში აწყობს „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება? რატომ უნდა უნდოდეს „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის სიკვდილი? (ღმერთმა დაიფაროს ყველა ადამიანი)

ახლა სააკაშვილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა მთავრობას აკისრია, რაიმე ზედმეტი თუ მოხდა (შიმშილობის კონკრეტული მეთოდიდან გამომდინარე ბუნებრივი შედეგების გარდა) ყველაფერი მათ დაბრალდებათ, ქვეყნის შიგნითაც ნიაღვარი წარმოიქმნება და საერთაშორისო ასპარეზზეც ქარიშხალი ატყდება, რომელთა გამკლავების ძალა მათ არ შესწევთ... რაში სჭირდებათ მკვლელის სახელი?

2. თუ პუტინის მთავარი მიზანი სააკაშვილის განადგურებაა, რატომ უჭირს საკითხის გადაწყვეტა? ლეხ კაჩინსკის წირვა გამოუყვანა, ალექსეი ნავალნი მთელი მსოფლიოს თვალწინ „ნოვიჩოკით“ მოწამლა, სკრიპალებს დედა უტირა, ლიტვინენკოს საავადმყოფოს ლოგინზე ამოხადა სული, მულტიმილიარდერი ბერეზოვსკი მიწიდან ამოთხარა და მოსპო, კიდევ რამდენი ჩამოვთვალო... მისმა მიმდევრებმა ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეს, ზელიმხან ხანგოშვილს ქილერი მიუგზავნეს და შუაგულ ევროპაში, დღისით, მზისით, ხალხის თვალწინ დახვრიტეს...

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი, სისხლიანი და ძლევამოსილი დიქტატორია და თუ ვინმეს განადგურება უნდა, როგორმე მოახერხებს ... მითუმეტეს ამდენი კრიზისისა და არეულობის ფონზე. რა ისეთი განუმეორებელი სუპერძალა აქვს საქართველოს ექს-პრეზიდენტს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებზე ძლიერი და განსაკუთრებულია?

**ლოგიკა სად არის?**

„ქართულ ოცნებას“ არ აწყობს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმება! პუტინს ფეხზე ჰკიდია სააკაშვილი! პირიქით, ენმ-ისა და საქართველოს ხელისუფლების სამარცხვინო, ანტისახელმწიფოებრივ ორთაბრძოლებს სათავისოდ იყენებს!

თუ ავტორიტეტული, პარტიულად მეტ-ნაკლებად ნეიტრალური, ნაც.მოძრაობის სიით დეპუტატები რომ არ ყოფილან ისეთი ექიმები იტყვიან, რომ ექს-პრეზიდენტი სამოქალაქო საავადმყოფოშია გადასაყვანი, უპირობოდ, ენმ-ის მიტინგების შიშის მიუხედავად პაციენტს დახმარება უნდა აღმოუჩინონ. ორი აზრი არ არსებობს! სააკაშვილმა დიდ ხანს უნდა იცოცხლოს, დიდ ხანს უნდა იჯდეს საპატიმროში და ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ქუჩაში ადამიანების მზერის უნდა ეშინოდეს! მხოლოდ მზერაც საკმარისი იქნება“!



## ნათია ბერიძე:
# ახლა მართლა მინდა ვიკითხო, რას ვერ უძლებთ?!

**ჟურნალისტი ნათია ბერიძე სოციალურ ქსელში წერს:**

„ახლა რაღაცას ვეძებდი და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების კომენტარებს ჩავყევი ერთ-ერთ ლიდერთან წერდნენ.

საკმაოდ ისეთი, შემდგარი, საქმეში წარმატებული, მოვლილ მოკაზმული ტიპების კომენტარები ვნახე მთავრობაზე წერდნენ — „აუუ ამათი გაძლება უკვე აღარ შეიძლება“!

ახლა მართლა მინდა ვიკითხო რას ვერ უძლებთ?!

ქუჩაში დაგდევენ ხელკეტებით?! ბიზნესს გართმევენ ღამის 1-2 საათზე?! სამსახურიდან გაგაგდეს და პერსონა ნონგრატა ხარ შენი პროფესიონალიზმის მიუხედავად როგორც ის ადამიანები ვინც მიშას დროს „ჩარეცხეთ?“ რას ვერ უძლებთ, სახლიდან გამოგაგდოთ ვინმემ იმიტომ რომ მთავრობის წევრს მოეწონა თქვენი სახლი?! მანქანიდან ჩამოგსვეს იმიტომ რომ ვიღაცის ცოლს მოუნდა თქვენი მანქანა?

რას ვერ უძლებთ, თქვენი მცირეწლოვანი შვილი სკოლოდან გააგდეს, მერე აწამეს, სდიეს და მოკლეს?!

რას ვერ უძლებთ, პატრულმა გაგაჩერათ კორტებთან და ჩაგცხრილათ, მერე იარაღი ჩაგიდოთ და ყაჩაღებად გამოგაცხადათ?! რას ვერ უძლებთ, ზურა ვაზაგაშვილის მამა ხართ და შვილის საფლავზე აგაფეთქეს?! რას ვერ უძლებთ, ციხეში იმიტომ ჩაგსვეს, წამალი იმიტომ ჩაგიდეს, იმიტომ დაგინგრიეს ცხოვრება, რომ ნანუკა ჟორჟოლიანთან შემთხვევით დარეკეთ?! რას ვერ უძლებთ, კასტილიანი კაცი გაუპატიურებთ 35 ლარად?! რას ვერ უძლებთ, ირინა ენუქიძე ხართ და ვანო მერაბიშვილის ცოლის გამო შვილი თოვლში სასაფლაოზე ნაწამები მკვდარი იპოვეთ?! რა აღარ შეგიძლიათ, სახლში რომ საუბრის დროს მობილურს არ შლით, სხვა ოთახში არ გაგაქვთ და მაინც ჩურჩულით საუბრობთ?!

რას ვერ უძლებთ, გამაგებინეთ რას!!! რა გაქვთ თქვენ გაუსაძლისი, ხალხო, მითხარით!!!

პრობლემებია ფასებზე?! დიახ! გეთანხმებით მაგრამ თქვენ რომ გეკითხებით პატიმრებს რომ აწამებდნენო, რომ კლავდნენო და გვპასუხობთ, კი მაგრამ, გზები ხომ კეთდებოდაო, ხოო... ფასები მომატებულია მაგრამ აღარ გვკლავენ! ხო, დოლარმა აიწია მაგრამ მსოფლიო სტატისტიკაა და სამაგიეროდ ბიზნესს აღარ გვართმევენ, ეს პასუხი მოგწონთ?! არ მიიღებთ?!

გაუსაძლისი რა არის, მთავრობაში რომ აღარ ხართ?! ბიუჯეტის ხარჯზე აღარ დადიხართ ვოიაჟებში?! ბოტოქსებს და მასაჟებს ვეღარ იკეთებთ ჩვენი ფულით?! რა არის გაუსაძლისი ევროპის გზაზე დგომა?! კანონის აღსრულება?! მოწესრიგებული ინფრასტრუქტურას?! რა არ მოგწონთ სადაც გინდათ და როგორც გინდათ იქ რომ დგამთ კარვებს და არ გხოცავენ? აღარ შეგიძლიათ, რომ თავისუფალი სიტყვა ფასობს?! აღარ შეგიძლიათ, რომ ჩვენ ჯარისკაცებს მზის გულზე ბუზების საჯიჯგნად არ ტოვებს ხელისუფლება და თვითონ არ ზეიმობს?! რა არ შეგიძლიათ, თქვენს ცოლს რომ პრეზიდენტი აღარ იბარებს და სანამ ის „აბახებს“ თქვენ ფოიეში არ გალოდინებენ?! რისი გაძლება აღარ შეგიძლიათ, თქვენს 18 წლის ქალიშვილებს პრეზიდენტის ბრძანებით მანქანაში რომ არ ტენიან და მერე მისი საძინებლიდან გაუბედურებული არ გამოგყავთ?!

კარგით გეყოფათ! ფარისევლები, სექტანტები ხართ და თქვენ მხოლოდ იმას ვეღარ უძლებთ, რომ არ გვკლავთ, არ გვაუპატიურებთ, არ გვაწამებთ, ბიზნესებს არ გვართმევთ! აი ეს არის მხოლოდ გაუსაძლისი თქვენთვის“!



## ლელა კურდღელაშვილი:
# არ მოეწონება განაჩენი? ეგერ სტრასბურგი და გაასაჩივროს!

**ჟურნალისტი ლელა კურდღელაშვილი სოციალურ ქსელში წერს:**

„**ამდენი** ხანია ერთი არგუმენტი ვერ დადეს, რატომ უნდა მოხდეს სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა. პასუხი კითხვაზე, იქნება თუ არა სააკაშვილის სიცოცხლე და ჯანმრთელობა სათანადოდ დაცული სამოქალაქო კლინიკაში? — არ აქვთ!

იქ, სადაც ამჟამად ცალკე ფლიგელში იმყოფება და სადაც უზარმაზარი სისტემა იცავს, რომ ჰკითხო, საფრთხე ემუქრება, თუმცა, ერთ ფაქტს ვერ ასახელებენ წამლად, რამდენჯერ მომხდარა, რომ გლდანის ციხის ადმინისტრაციას პატიმრის უსაფრთხოების მართვა ვერ მოუხერხებია?

თითქოს არაფერი, გადაიყვანონ სამოქალაქო კლინიკაში, რა მოხდა მერე?! — გაჰყვირიან! — და თუ მოხდა, მერე რას ვიღებთ? — ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რასაც მივიღებთ? აქ კი მაინც ვიცით, ვის მოვთხოვოთ პასუხი. იქ კლინიკის ადმინისტრაციის ბლუკუნი უნდა ვისმინოთ მერე, რომ მათ მეტი რესურსი არ ჰქონდათ პატიმრის უსაფრთხოების დასაცავად! აი, ამაზე რამდენად აქვთ პასუხი იმათ, ძაან ემოციურ-სენტიმენტალურ-ჰუმანურებს? — არ აქვთ! არც იმაზე აქვთ პასუხი, რატომ ექმნებათ ამდენი პრობლემა საქართველოს მოქალაქეებს ერთი უკრაინელი მოქალაქის გამო, იმ ყოფილი პრეზიდენტის გამო, რომლის მმართველობა სწორედ პატიმრების მიმართ სასტიკი დამოკიდებულებით იყო დაღდასმული. არ მოეწონება განაჩენი? — ეგერ სტრასბურგი და გაასაჩივროს, მაგ გზით იარა იმ ქვეყანამ, სადაც ეს კაცი ოდესღაც მეფობდა და ახლა შანსი აქვს, თავადაც გაიაროს.

და კიდევ, როცა უკანონოდ შემოდიოდა ამ ქვეყანაში, მაშინ რაზე ფიქრობდა? — როცა ვიდეოებს ავრცელებდა და ლამის იხვეწებოდა, მოდით, დამიჭირეთო, მაშინ რას გეგმავდნენ უცხოეთიდან პანდორას ყუთით შემოდგმული ნაპრეზიდენტალი და მისი პარტიული ფანები?

ალბათ იმას, რომ ვიღაცას აწყობს ახლა სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება — ეგერ, შავ ზღვაში ნატოს ხომალდი დგას გაცხადებული მიზნით: ვიმოქმედებთ შეხედულებისამებრ, აქეთ რუსეთი გაცხადებული მიზნით: არ დაუშვას საკუთარ საზღვრებთან არეულობა და თან, უკვე მირეკილი ყავს ჯარები უკრაინასთან და აქ კიდევ სააკაშვილი და მისი მომხრეები გაცხადებული მიზნით: მოაწყონ არეულობა ნებისმიერ ფასად! — ჰოდა, აი, ყველა დაოკდით, სანამ ნერვები აგეფოფრებათ და ვიღაც ავანტიურისტის გამო ცრემლების ღვარღვარს დაიწყებთ! — ძალით არავის ჩამოუყვანია, თავად ჩამოვიდა და ყველაზე ცუდი ისაა, რომ არც არავინ ითხოვს უკან!



# გია ოდიშარია: ივანიშვილის ოპონენტები ხელისუფლებაში მოვიდნენ დახეული კალოშებით, დღეს ბიძინაზე მეტი ფული აქვთ. რომელიმემ ლარი დახარჯა ქვეყნისთვის?

ფეისბუქ-მომხმარებელი **გია ოდიშარია** სოციალურ ქსელში წერს:

**„ბიძინა რუსი ოლიგარქიაო, გაიძახიან, და დღეს ხმა გაუვრცელეს, ამერიკაში გაიქცაო. ეტყობა კომპასი გაუფუჭდა?! პრორუსი ამერიკაში გაიქცა?!**

**რაღაც ვერ ვატყობ სადმე წასვლის განწყობას. არჩევნების წინ განაახლა თბილისის ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობა და უკვე ორი სართულია ჩასხმული. ჭიანჭველებივით არიან მისეულები, სვეტების არმატურებს კრავენ...**

**მგონი, არც აბასთუმანი გაჩერებულა...**

**საჩხერეში კოლხური ხოხბის ფერმას აშენებს, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი.**

**დააშინეს მოსახლეობა. ივანიშვილის სიკეთეებზე საუბარი გოიმობად ითვლება, ხოლო ციხეებში და პოლიციის შუშის შენობების კამერებში ნეკნების მტვრევა „პრადვინუტობად“ და საქმის მკეთებლების გადაცდომებად.**

**სანამ ოპოზიცია წალენჯიხაში სტადიონის და მაკდონალდსის აშენებას იმუქრება, იქნებ გაიხსენონ როგორი ღირებულებითი და საშვილიშვილო პროექტები აქვს გაკეთებული მათ ოპონენტს?!**

**წითელ წიგნში შეტანილი კოლხური ხოხბის გაშენება რომ აზრად მოგივიდეს, ალბათ ქვეყანა ძალიან უნდა გიყვარდეს, არა?! თუ სიძულვილით აკეთებს?!**

**400-ზე მეტი ქართული ჯიშის ვაზის გაშენება ჯილაურაში, და იქვე სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნა რამდენად საშვილიშვილო საქმეა, ვაზის ქვეყნის მოსახლეობა აღიქვამს? მადლობა უთხრა ვინმემ? იქვე 400 სხვა უცხოური ჯიშიც მიაყოლა, ხურდაში.**

**რამდენჯერმე დავწერე, მაგრამ ბევრი არ ჩაღრმავებია, რამდენად მნიშვნელოვანი სამტომეული გამოიცა, მისი დაფინანსებით და ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, სახელწოდებით „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“. 10 წელი 100 მეცნიერი წერდა და ხელფასებს და სხვა ხარჯებს ფონდი „ქართუ“ ფარავდა. მასში მთელი ჩვენი კულტურა, ოქროს ფონდი და ისტორია შევიდა და ციფრულ ფორმატში იქნა გადატანილი. ეს თემაც საქილიკოდ აქციეს.**

**სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ ამ საქმეების გამო არ უნდა გაგიხარდეს, თუ ქვეყანა დატოვა.**

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი არ ჩაეთვალა.**

**ბოლო დღეებია სააკაშვილი და მისი გუნდი ჯარს და პოლიციას ამადლიან, ფორმა რომ გაცვიათ, ჩვენ ჩაგაცვითო. ჯერ ერთი, რა დროს ის ფორმაა, 9 წელი გავიდა უკვე და გაცვდა. ფორმის შეკერვა აქ დაიწყეს უკვე და იქნებ დაასრულოთ ამ თემაზე საუბარი, თქვენთვისაა სამარცხვინო, ფორმიან კაცს ფორმა დაამადლო.**

**ძირითადად ამ დამადლების გამო დავაპირე მსგავსი პოსტის დაწერა და დღევანდელმა ხმებმა გადამაწყვეტინა უფრო ვრცლად გამომეხატა ერთხელ და, შესაძლოა, საბოლოოდ.**

**თუ მაინცდამაინც ფორმის გახსენება გინდათ, ხომ გაიგო მთელმა ქვეყანამ, რომ ივანიშვილმა დააფინანსა ფორმაც, აღჭურვილობაც, პატრულის მანქანებიც, ხელფასებიც?! ერთხელ წამოსცდენია ფორმა მე ჩაგაცვითო?!**

**მუზეუმებზე, კონსერვატორიაზე, ფილარმონიაზე, ოპერაზე, თეტრებზე, სკოლებზე, მერხებით და კომპიუტერებით, უნივერსიტეტებზე, ეკლესიებზე, საავადმყოფოებზე, საკონცერტოზე, პარკებზე, რაგბი-ლელოს სტადიონებზე და უამრავ სხვა პროექტზე აღარ შევჩერდები.**

**კიდევ ორ პროექტს გამოვყოფ.**

**დენდროლოგიური პარკი, რომლის გამო რამდენი ტალახი მოითმინა. მაინც მიიყვანა ბოლომდე და ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახადა. წელს რამდენჯერმე ჩავიარე. ხალხი დადის, მათ შორის ახლადდაქორწინებულთა საყვარელი ადგილია.**

**მეორე, სიყვარულით გაკეთებული პროექტია შეკვეთილის მინიატურების პარკი. ვისაც არ გინახავთ, ნახეთ, თუნდაც ინტერნეტით.**

**სულაც არ მაინტერესებს ვინ რას იტყვის ამ პოსტზე.**

**თუ არ მოგწონდათ მისი პოლიტიკა, ან უბრალოდ მისი ოპონენტი იყავით, გასაგებია. ვინ გაძალებთ?!**

**მაგრამ, ადამიანმა, რომელსაც არ ევალებოდა და შენი ქვეყნისთვის ამდენი გააკეთა, არ გამადლის და ისევ აგრძელებს კეთებას, ქვეყნიდან რატომ უნდა განდევნო, ან თუ წავიდა, რატომ უნდა გაგიხარდეს?!**

**ივანიშვილის ოპონენტები ხელისუფლებაში მოვიდნენ დახეული კალოშებით, დღეს ბიძინაზე მეტი ფული აქვთ. რომელიმემ ლარი დახარჯა ქვეყნისთვის?**

**მხოლოდ ტელევიზიებში, ამ 9 წელიწადში, მილიარდზე მეტი დახარჯეს. რაც არჩევნებში და აქციების მოწყობაში დახარჯეს, თავადაც ვერ დათვლიან. პანდემიის დროს ლარი არ ჩაურიცხავთ ფონდში. ნაცმოს დეპუტატებმა ხელფასის მესამედიც კი არ დაიქვითეს. ამ დროს ივანიშვილის ოჯახმა 103 მილიონი გაიღო.**

**სიძულვილი, მუქარები, შავი სიები და ქვეყნის რყევები, გიყვარდეთ. ომზე და უბედურებაზე აღარ ვსაუბრობ. ჯარის ხარჯზე მილიონების კეთება ცალკე თემაა და, თუ გსურთ, დაგიმტკიცებთ.**

**რიგში რომ დგანან ახლა მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და სხვები, კლიპებს რომ წერენ „თავისუფლება მიშასო“, დაგამადლათ, ჩემს რესტავრირებულ სამხატვრო აკადემიაში ხატავთ (ნახეთ რა დონეზეა გაკეთებული), ან ჩემს შეკეთებულ, რესტავრირებულ თეატრებში და ოპერებში მსახურობთო? — არა. მადლობა გითქვამთ?— არა.**

**ესეც თქვენი საქმეა. უბრალოდ, იქეთ რომ ასე გისკდებათ სიყვარულის ბუშტი და არაფრად აგდებთ ასიათასობით გასამართლებულ, ათასობით გამწარებულ და ბიზნესახეულ ადამიანს, აქეთ რატომ აფრქვევთ ამდენ სიძულვილს?**

**ვისაც პოსტი არ მოგეწონებათ, ნუ ამოხტებით ქამრებიდან. შეგიძლიათ კარი გარედან დახუროთ.**

**ერთი რამ მკაფიოდ ვიცი და ბევრჯერ დავწერე: თუ გსურთ ოცნებაზე უკეთესი ხელისუფლება მოვიდეს მომავალში, ან კოალიციაში შემოვიდეს ჯანსაღი პარტია, ღმერთმა ნუ ქნას უარესმა შეცვალოს, ამ მარგინალი ოპოზიციის ფონზე ეს არ მოხდება.**

**სანამ არ გადახალისდებით, სანამ სიძულვილის ნაცვლად პროგრამების წერას არ დაიწყებთ, სანამ დამნაშავეებს ახალი სახეებით არ ჩაანაცვლებთ, თქვენ ვერ მოხვალთ ხელისუფლებაში. უკეთესების შემოყვანის ნაცვლად, პარლამენტში ძველებზე უარესები და თავხედები შეიყვანეთ. ზედ პრორუსული პოლიტიკოსები დაიმატეთ. მიკვირს 27% როგორ აიღეთ!**

**ივანიშვილი წასულია პოლიტიკიდან. თქვენსავით უპრინციპო არაა. თქვა და აღარ შემოვა უკან. შესაბამისად, ეს პოსტიც პოლიტიკური ნაკლებადაა. უფრო მადლობაა, რაც გააკეთა იმისთვის. ვისაც თავი მოგაქვთ, გააკეთეთ მეტი და გააკეთეთ უკეთ. ვინმე გიშლით?!**

**ვერავინ შეზღუდავს, ამერიკაში გაფრინდება თუ შვილებს ჩააკითხავს. თქვენს ხარჯზე არ დაფრინავს.**

**ვერც ქვეყნიდან გააქცევს ვინმე. დღევანდელი პოლიტიკოსებიდან, თუ ვინმეს აქვს უფლება ამ მიწაზე იაროს, ჯერ მას აქვს. ამდენი დანაშაული გაქვთ ჩადენილი, ქვეყნის ტერიტორიებზე კონტროლი დაიკარგა, უამრავი ადამიანი გაამწარეთ, ხელისუფლებაში გამდიდრდით. არ გამძიმებთ? ჰოდა, თუ თქვენ არ გამძიმებთ, სხვისკენ თითს როგორ იშვერთ?**

**წინა ხელისუფლების მიმართ პირადული არასდროს მალაპარაკებდა. მათ შორის არც იმის გამო, რომ წლების წინ უსამართლოდ მომექცნენ როგორც მე, ასევე ჩემს უამრავ თანამშრომელს. მაგასაც დავწერ, ალბათ. ბევრჯერ ვთქვი, მაგრამ რაც სხვას გადახდა, მათთან შედარებით ჩემი ისტორია რა მოსატანია. თუმცა, დღეს ვინც ჯეჯილობთ, ბევრი არ გასულხართ სახლიდან იმ განცდით, რომ შესაძლოა ველარ დაბრუნებულიყავით. ხომ ასეა?! სხვა დროს...**

**ვინც გაქცეული წაიკითხა და ნახევარი გამოტოვა, გავიმეორებ, ვისაც ივანიშვილი როგორც პოლიტიკოსი არ მოგწონთ, არავინ გაძალებთ. როგორც მოქალაქის, უმსხვილესი ინვესტორის და ქველმოქმედის ქვეყნიდან წასვლა რატომ უნდა გაგიხარდეთ, ვერ ვიგებ. ებრძოლეთ სამართლებრივად.**

**გამოწვევით არ ვამბობ, ვინც ვერ გაგრილდებით, რუსეთისთვის მიყიდული ბორჯომით გაგრილდით. იმედია, ოდესმე, გამოვისყიდით.**

**გადავფურცლე ეს ფურცელი. ბიძინას თემას აღარ შევეხები, თუ რაიმე ახალი პროექტი არ გახდება აღსანიშნავი“.**

---



# თორნიკე დავითაშვილი: არა – შურისძიებას!

**ცნობილი პოლიტიკოსის კობა დავითაშვილის შვილი, თორნიკე დავითაშვილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ნათლული იყო, ვრცელ პოსტს უძღვნის სააკაშვილის ციხეში ყოფნას.**

**ჩემი საკმაოდ მარტივი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესების მიმართ:**

**1. დამნაშავე უნდა გასამართლდეს, მაგრამ...**

**2. უნდა გასამართლდეს სამართლიანად და კანონის ფარგლებში...**

**3. ხალხის საჭორაო ნამდვილად არაა შიმშილის დეფინიცია, მაგრამ...**

**4. ასევე მხოლოდ ექიმები უნდა აფასებდნენ, არის თუ არა ადამიანის სიტუაცია კრიტიკული. ციხე იმის ციხეა, რომ პირადი სურვილები მგონი შეზღუდული უნდა იყოს, არა? შესაბამისად, გაუგებარია რატომ ითხოვს საავადმყოფოში გადასვლას, თუ ამის საჭიროება არ დგას.**

**5. მინდა, რომ აუცილებლად ნეიტრალური მხარისგან გასამართლდეს. მოიწვიეთ საზღვარგარეთიდან მიუკერძოებელი მოსამართლეები, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოვისუნთქოთ და გავაგრძელოთ ცხოვრება. თუ გაასამართლებენ, ხომ კარგი, თუ არადა, მე პირადად დავიღალე ამ ცირკით. რაც მნიშვნელოვანია, ის უკანა ფლანგზეა და ყველა იმას შევყურებთ, მიშა რას ჭამს თუ ბოდიში და რას ჯვ...**

**6. მე პირადად ყველაზე ირონიულად ვგრძნობ თავს ამ ვითარებაში. დარწმუნებული ვარ, ნათლიათქვენს და მის სისტემას მამათქვენის მოკვლის 3 თუ 4 მცდელობა არ ჰქონია.**

**შურისძიებას კარგი არასდროს და არავისთვის მოუტანია, და მოდი, გადავაგოროთ რა, ეს უბედური თავი საქართველოს ისტორიაში. სჯობს, ქვეყნის აღმშენებლობით და გაძლიერებით დავკავდეთ, ვიდრე ჭორაობით.**

**კარგ საღამოს გისურვებთ!“**

* * *

კობა დავითაშვილი ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. პოლიტიკური საქმიანობის ბოლო ეტაპზე, ის მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი „ქართული ოცნების“ სიით გახდა, თუმცა უთანხმოების გამო „ოცნება“ 2013 წელს დატოვა, უარი თქვა სადეპუტატო მანდატზე და საპრეზიდენტო არჩევნებში იყარა კენჭი. „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს ამ უკანასკნელს სასტიკად გაუსწორდნენ! კობა დავითაშვილს 2017 წელს ე.წ. ბეხტერევის დაავადება დაუდგინეს. ის 2020 წლის 2 დეკემბერს გარდაიცვალა.

---

# ალუდა ღუდუშაური: ესენი ბოლოს ქუჩაში დაწოლით დაასრულებენ!



**ოპოზიცია კვლავ მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას ითხოვს და, ამ მიზნით, აქციები გრძელდება.** მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის შიმშილობით სპეკულირებს და დისკომფორტს უქმნის საზოგადოებას.

**„ჯერ იყო და, გამზირებზე ლეიბების დაგების თუ გაწოლის აქცია დააანონსეს, შემდეგ — სიარულში მეტნი ვჩანვართო და მეტროს მგზავრებს აეკიდნენ, ამანაც არ გაჭრა და ახლა, ავტომობილების აქციაო. დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ნამდვილად დაწოლით დაასრულებენ და ეს იქნება დაწოლა, როცა წამოდგომა ძალიან გაუჭირდებათ“,** — აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალუდა ღუდუშაური.

# სააკაშვილს ჰყავდა 200-ზე მეტი ვიზიტორი

**მასთან შედის აბსოლუტურად ყველა, ვისაც აქვს საქართველოს კანონმდებლობით უფლება, რომ შევიდეს ამ დაწესებულებაში!**

იმ პირებს, ვისაც საქართველოს კანონით არ ჰქონდათ საპატიმრო დაწესებულებაში შესვლის უფლება, მიხეილ სააკაშვილთან შესვლაზე განეცხადათ უარი.

**„სააკაშვილს ჰყავდა 200-ზე მეტი ვიზიტორი. აბსოლუტურად ყველა, ვისაც აქვს საქართველოს კანონმდებლობით უფლება, რომ შევიდეს ამ დაწესებულებაში, შედის ყველა. აქვე, იმყოფებოდნენ პარლამენტის წევრები მათ შორის, გუშინ. მუდმივ რეჟიმში შედის მისი პირადი ექიმიც, ოჯახის წევრებიც და ყველა ის პირი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.**

**ჩვენ ასევე სხვა პირებსაც, რომლებსაც საქართველოს კანონით არ ჰქონდათ საპატიმრო დაწესებულებაში შესვლის უფლება, განვუცხადეთ უარი. მე-18 დაწესებულება ეს არის სამკურნალო დაწესებულება და შესაბამისად, მაქსიმალურად ვიკავებთ თავს იმისგან, რომ იქ შევიდნენ ამჟამად ის პირები, რომლებსაც არ აქვთ უფლება, საქართველოს კანონმდებლობით, შედიოდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში“,** — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

სრ **სიმშვიდის საფუძველი არა გვაქვს!**

# ალიარებს თუ არა მინსკი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობას“?



ინფორმაცია, თითქოს ბელარუსის პარლამენტს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ განცხადების პროექტი წარედგინა, არ დადასტურდა. თუმცა თუ რუსეთ-ბელარუსის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოში სამომავლოდ საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონის დაგეგმილი შეყვანის შესახებ უკვე არაერთგზის გაჟღერებულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, თეორიულად, გამორიცხული არაა, მინსკისთვის ეს საკითხი რაღაც ფორმით დღის წესრიგში მართლაც იდგეს, ან უახლოეს მომავალში მაინც დადგეს.

**„გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბელარუსის პარლამენტში შეტანილია განცხადების პროექტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების თაობაზე. მოვლენა აბსოლუტურად ლოგიკურია, ცოტა დაგვიანებული, მაგრამ მაინც სასარგებლო და მნიშვნელოვანი მათთვის, ვინც იბრძოდა და იბრძვის სამართლიანობისთვის — ისტორიულისთვის და არა მარტო. მუშაობის წლები, ჩვენი გუნდის ძალისხმევის ჩათვლით ბელარუს კოლეგებთან კონტაქტების ჩამოსაყალიბებლად, თავის ნაყოფს იძლევა“,** — დაწერა ორიოდე დღის წინ თავის ტელეგრამ-არხში „დონის როსტოვში აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო კონსულმა“ ადიკ არშბამ.

და ეს ინფორმაცია მყისიერად აიტაცეს როგორც აფხაზურმა, ისე ოსურმა და რუსულმა მედიასაშუალებებმა. დაიწყო მისი აქტიური განხილვა სოცქსელების აფხაზურ და ოსურ სეგმენტშიც. ამასთან, კომენტატორთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამას არა სოხუმის ძალისხმევას, არამედ მოსკოვს უკავშირებდა და „რუსეთის პრეზიდენტისადმი ბელარუსი კოლეგის მადლიერების ჟესტად“ განიხილავდა.

თუმცა ეს ყველაფერი სასურველის რეალობად გასაღების მცდელობა აღმოჩნდა: ჟურნალისტებს, რომლებმაც ბელარუსის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის სამდივნოში ადიკ არშბას ინფორმაციის კომენტირება ითხოვეს, განუცხადეს, რომ მსგავსი პროექტი პარლამენტში არ შესულა და მეტიც, „ეს საკითხი საკანონმდებლო რეგულირების ობიექტს არც წარმოადგენს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ბელარუსის მიერ საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარება ადრეც არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში. საკითხი ჯერ კიდევ 2009 წელს განიხილებოდა. კერძოდ, 2009 წლის 19 ნოემბერს ბელარუსის საპარლამენტო დელეგაცია ცხინვალში იყო ჩასული და ედუარდ კოკოითს შეხვდა. იმ შეხვედრაზე იმჟამინდელმა დე ფაქტო ლიდერმა ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ მისი და აფხაზეთის მაშინდელი დე ფაქტო პრეზიდენტის „ძალზე თბილი მიღებაც“ გაიხსენა. იმავე წლის 27 ნოემბერს ოფიციალურ საიტებზე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების საპარლამენტო დელეგაციებმა მინსკში რუსეთ-ბელარუსის საპარლამენტო კრების 36-ე სესიის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა“. „ჩვენ იქ დამკვირვებლებად ვიყავით, არა წევრებად, რა თქმა უნდა, რადგან წარმოვადგენდით არაღიარებულ რესპუბლიკებს და ეს იყო ბელარუსული ჟესტი რუსეთის მიმართ“ — იხსენებს იმ ვიზიტს ოსური „პარლამენტის“ იმჟამინდელი დე ფაქტო სპიკერი სტანისლავ კოჩიევი. მაშინ გადაწყდა, „საპარლამენტო თანამშრომლობა“ გაგრძელებულიყო. მეტიც, ბელარუსმა დეპუტატებმა მალევე ჩამოაყალიბეს სამუშაო ჯგუფი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების საკითხის განხილვისთვის მოსამზადებლად.

**თუმცა ამას მოჰყვა ბელარუსის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, შეხვედრა, მათ შორის, იმჟამინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან — და უკვე დეკემბერში ბელარუსმა დეპუტატებმა აღიარების საკითხის განხილვა გადაიფიქრეს. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ კი მაშინ რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ „თავის პოზიციას არ გაყიდდა“ და განმარტა, რომ სოხუმისა და ცხინვალის აღიარების სანაცვლოდ მოსკოვი მას 500 მლნ დოლარის ოდენობის ტრანშს ჰპირდებოდა. „რუსეთის ყველა ხელმძღვანელი მეუბნება: „ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: აღიარებთ? — მშვენიერი, არ აღიარებთ? — არაუშავსო“. მაგრამ მე ხომ ვიცი, რას ელიან ბელარუსისგან?! პირველ რიგში, რუსეთისთვის ეს, რა თქმა უნდა, საკითხს არ წარმოადგენს: ვაღიარებთ-არ ვაღიარებთ ახლა, ხვალ, ზეგ... — იმასთან შედარებით, რაც ბელარუსის ირგვლივ ხდება, ეს მთავარი არ არის. თუმცა გვესმის, რომ დიახ, რუსეთისთვის ეს აღიარება ზედმეტი არ იქნებოდა“ — აღნიშნა მან. კიდევ მოგვიანებით, 2020 წლის აგვისტოში, უკრაინელ ჟურნალისტ დიმიტრი გორდონთან ინტერვიუში კი ბელარუსის ლიდერმა განაცხადა, რომ „დასავლეთი მინსკს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემთხვევაში დამატებითი სანქციებით ემუქრებოდა, მოსკოვმა კი მას ამ ეკონომიკური დანაკარგების კომპენსირებაზე უარი განუცხადა“.**

**რა ზრახვები აქვს ამ წუთისთვის მოსკოვზე ორიენტირებული ლუკაშენკოს ხელისუფლებას სოხუმსა და ცხინვალთან მიმართებაში — ამას ალბათ, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ფაქტია, რომ თბილისს სიმშვიდის საფუძველი არ აქვს, მით უფრო — მოსკოვში, სოხუმსა და ცხინვალში უკვე არაერთგზის გაკეთებული განცხადებების ფონზე, რომ რუსეთ-ბელარუსის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოში სამომავლოდ საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონი, ასევე დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკები, „მთიანი ყარაბაღი“, დნესტრისპირეთი და „შესაძლოა, სომხეთიც“ მოიაზრებიან.**

თბილისი ამ დროს უმთავრესად შიდა პოლიტიკური ომებითაა დაკავებული. ძალაუფლებისთვის ბრძოლა მთავარ თემად რჩება ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შემდეგ რეგიონში ჩამოყალიბებულ ძალზე სახიფათო ახალ რეალობაშიც, რომელიც საქართველოსთვის არაერთ რისკს ქმნის. ბოლო წელიწადნახევარ-ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად უპასუხოდ რჩებოდა რუსი „სტრატეგიული პარტნიორის“ ანექსიური ზრახვებით შეშფოთებული სოხუმიდან წამოსული ყველა შემოთავაზება თბილისთან სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის დაწყების თაობაზე — და აი, სადღეისოდ უკვე, ცხინვალის მსგავსად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამაც რუსეთ-ბელარუსის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოში ინტეგრაციაზე აიღო კურსი. „პრეზიდენტმა“ ბჟანიამ ბოლო თვეებში მოსკოვში ვიზიტებს საგრძნობლად მოუხშირა, სოხუმში დაბრუნებული კი ყოველ ჯერზე აკეთებს ახალ-ახალ განცხადებებს მოსკოვის ფაქტობრივად ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების „აუცილებლობის“ თაობაზე, რომელიც „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ“ შეთანხმებაშია ასახული. ამ მოთხოვნებს შორისაა, მაგალითად, რუსეთის მოქალაქეებისთვის მიწისა და სხვა უძრავი ქონების მიყიდვის, ენერგეტიკისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების გრძელვადიანი იჯარით გადაცემის, ასევე ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება და ბევრი სხვა რამ, რაც რეალიზების შემთხვევაში აფხაზეთს რუსეთის ფედერაციის ახალ სუბიექტად გადააქცევს.

**მაგრამ თბილისს ამ ყველაფრისთვის „არ სცხელა“ — თუ არ ჩავთვლით ოფიციალურ პირთა პერიოდულ, სხვადასხვა თარიღებისადმი მიძღვნილ არაფრისმომცემ ტრაფარეტულ განცხადებებს, რომლებიც სოხუმში „ცინიზმად“, ან, საუკეთესო შემთხვევაში, „რეალობას აცდენად“ ფასდება.**

**შიდა პოლიტიკური ბატალიების ფონზე ფაქტობრივად შეუმჩნეველი დარჩა თბილისში ეს ისტორიაც — ბელარუსის პარლამენტის მიერ სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობის“ შესაძლო აღიარების შესახებ. თუმცა არა: როგორც „აქცენტს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, თბილისი დაუკავშირდა მინსკს, სადაც ეს ინფორმაცია უარყვეს. „ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა კომუნიკაცია ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, რა დროსაც ბელარუსის მხარემ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა და ბელარუსის ხელისუფლების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის განხილვა უარყო“ — განაცხადეს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში, ხოლო დამატებითი კითხვის საპასუხოდ, რა პოზიცია აქვს სადღეისოდ მინსკს და კვლავინდებურად აღიარებს თუ არა იგი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მოკლედ დასძინეს, რომ „აღიარებს“.**

ასე, რომ ამჯერად, როგორც ჩანს, გადავრჩით. თუმცა გვაქვს კი სიმშვიდის საფუძველი?!.

## ბალტიისპირელი პრეზიდენტები ლუკაშენკოს წინააღმდეგ

**ბელარუსი მიგრანტებს ევროკავშირთან საზღვრების დარღვევას აიძულებს და ალექსანდრე ლუკაშენკოს მთავრობამ ადამიანით ვაჭრობისთვის პასუხი უნდა აგოს,** — ამის შესახებ ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

**„ჩვენ ვგმობთ ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ მიგრანტების პოლიტიკური მიზნებისთვის ინსტრუმენტალიზაციას“,** — ნათქვამია განცხადებაში. ლიეტუვის პრეზიდენტმა, გიტანას ნაუსედამ განაცხადა, რომ ვიდეოჩანაწერები, სურათები და სხვა მტკიცებულებები ადასტურებს როგორც ბელარუსის ოფიციალური პირების, ასევე რუსეთის მონაწილეობას კრიზისის გაღვივებაში. სამი ქვეყნის პრეზიდენტებმა ევროკომისიას მოუწოდეს, დაუყოვნებლივ შეიტანოს ცვლილებები ევროკავშირის კანონმდებლობაში თავშესაფრის მიღების შესაძლებლობის გამკაცრების მიზნით. მათ ასევე განაცხადეს, რომ ევროკავშირმა უნდა დააფინანსოს ფიზიკური ბარიერების მშენებლობა ბლოკის გარე საზღვრებზე.

## რა შედეგს მოიტანს მაკრონ-პუტინის სატელეფონო საუბარი?

**საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტები ბელარუსის საზღვარზე მიგრაციული კრიზისის დეესკალაციის საჭიროებაზე შეთანხმდნენ.**

საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ემანუელ მაკრონსა და ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.



**„ეს სატელეფონო საუბარი კრიზისის დასრულებას ემსახურებოდა. რაც შეეხება მიგრაციის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსის საზღვარზე შექმნილი კრიზისის წარმოშობასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს, ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ მას ესმის ამ სიტუაციის დასრულების საჭიროება“,** — განაცხადეს საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ემანუელ მაკრონმა ასევე გამოთქვა შეშფოთება უკრაინის საზღვართან შექმნილი მდგომარეობის გამო, სადაც ნატოს განცხადებით, რუსეთის სამხედრო ძალების მასშტაბური და უჩვეულო კონცენტრაციაა. საფრანგეთის პრეზიდენტმა რუს კოლეგას განუცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი დაიცვას.

## ოფიციალური პარიზი და ბერლინი უკრაინის მხარდამჭერები არიან

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჟან-ივ ლე დრიანი და გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, ჰაიკო მაასი უკრაინის მახლობლად რუსეთის სამხედრო ძალების გადაადგილებასთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ.




**„უკრაინის მახლობლად რუსეთის სამხედრო ძალებისა და ტექნიკის გადაადგილებასთან დაკავშირებით, ორმა მინისტრმა რუსეთს მოუწოდა, თავშეკავებულობა შეინარჩუნოს და სამხედრო აქტივობებთან დაკავშირებით გამჭვირვალე იყოს. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შელახვის ნებისმიერ შემდგომ მცდელობას სერიოზული შედეგები მოჰყვება. უკრაინას მოვუწოდეთ, თავშეკავებულობა შეინარჩუნოს. 2021 წლის გაზაფხულზე, უკრაინამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დაძაბულობის დეესკალაციაში, რუსეთის აგრესიული რიტორიკისა და არასაკმარისი გამჭვირვალობის მიუხედავად“,** — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში. ოფიციალურმა პარიზმა და ბერლინმა შეშფოთება გამოთქვეს დონბასში უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების გამო.

**„ჩვენ მოვუწოდეთ უკრაინას, გააგრძელოს მინსკის შეთანხმებების სრული განხორციელება და შეინარჩუნოს ჩართულობა ნორმანდიის ფორმატის მოლაპარაკებებში. ჩვენ ვწუხვართ, რომ რუსეთი უარს ამბობს ნორმანდიის ფორმატში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრის გამართვაზე და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ხელმისაწვდომობას კონსტრუქციული და არსებითი შეხვედრისა და დისკუსიებისთვის. რუსეთს კვლავ მოვუწოდებთ, იგივე გააკეთოს დონბასში გრძელვადიანი მშვიდობის მისაღწევად“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## კვლავ მიგრანტების პრობლემა...

**გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა და ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ სატელეფონო საუბარი გამართეს. გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებმა ევროკავშირი-ბელარუსის საზღვარზე მყოფი მიგრანტების ჰუმანიტარული დახმარების საკითხი განიხილეს.**

15 ნოემბერს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებას მწვანე შუქი აუნთეს. საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ ახალი ზომები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს შეეხება და უახლოეს დღეებში ამოქმედდება. მანამდე ევროკავშირმა ახალი სასანქციო რეჟიმი დაამტკიცა, რომელიც შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ევროკავშირში მიგრანტთა არაკანონიერ გადაყვანას ახორციელებენ.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია არქანიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია არქანია (პ/ნ 01025001456), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ., 4 მ/რ, ს.ტ.უ-ს ს.ს. კორპ. 2, ბინა 105-106

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, პეტრე იბერის ქ. 16ა, E ბლოკი, სართ. 1, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.153.01.02.001).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 85670 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 17 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 26 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75326421;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 753264

6. **მოვალე:** მაია არქანია (პ/ნ 01025001456), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ., 4 მ/რ, ს.ტ.უ-ს ს.ს. კორპ. 2, ბინა 105-106.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75326421; ლოტის ნომერი: 753264).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 26 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# ქალღი ყეფს, ქარავანი მიდის...

**(მეოთხე გვერდიდან)**

მახსენდება ერთი ფაქტი: ამ ერთი წლის წინ ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე გამოდიოდა ცნობილი პოლიტიკოსი **კახა კუკავა**. ის სწორედ წამლების სიძვირეზე ლაპარაკობდა. თანაც ასეთი რამ თქვა: მე (და ჩემმა ჯგუფმა) მოვახერხეთ და თურქეთიდან წამლები იაფად შემოვიტანე, და ამა და ამ მისამართზე მიაკითხეთო. ალბათ მისგან შემოტანილი იაფი წამლებით ბევრმა კიდეც იხეირა. ეს კი „ქორი“ ფარმაცევტული კომპანიებისათვის დიდი დარტყმა იქნებოდა! **რატომ არ აუბეს მას მხარი გაფულბუილებულმა ბიზნესმენებმა?** აი, ეს იქნებოდა ხალხზე ზრუნვა! რატომ არ აუბეს მხარი მყვირალა ტელევიზებმა, მარტო ოპოზიციონერების მავნებლობით, სააკაშვილის „მზრუნველობით“ პარტიების წვრილმანი საქმეებით რომ არიან დაკავებულნი?

* * *

პანდემიის წინააღმდეგ ჩვენი ექიმების და ექთნების გმირობა და თავდადება ცნობილია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ექიმების **დიდზე დიდი ნაწილი ჰიპოკრატეს ფიცის დამრღვევია** (როგორც მთელ მსოფლიოში) და პაციენტების ჯანმრთელობა კი არა, მათგან ფულის გამოძალვა აინტერესებთ! **რესპუბლიკურ საავადმყოფოებში რა სასწაული, დამთრგუნველი ფასები ადევს ცალკეული დიაგნოზების დადგენას, მკურნალობას, ოპერაციების გაკეთებას!** სახელმწიფო პაციენტებს მაინც აფინანსებსო და ფანტასტიკურ ფასებს ადებენ ოპერაციებს. უექიმები სახელმწიფოს, **რომ იტყვიან, წველიან!** ეს თავნებობაც სახელმწიფოს მიშვებული აქვს და კონტროლია საჭირო! ამავე დროს ექიმების ნაწილი ფარმაცევტულ კომპანიებთან შეკრულია და ზედმეტ წამლებს უწერენ ავადმყოფებს!

ზემოთაც ვთქვი, რომ სახელმწიფო (იგივე „ქართული ოცნება“)კარგად ეხმარება ადამიანებს მედიკამენტების შეძენაში თუ სტაციონალურ მკურნალობაში. მაგრამ, რომ იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს. **უფრო სახელმწიფოებრივი მიდგომა (აზროვნება) არ იქნება ის, რომ მთავრობამ აუკრძალოს თაღლით ბიზნესმენებს წამლებზე უსაშველო ფასების დადება?** ამით კი თვითონ ხალხს მიეცემა წამლების შეძენის საშუალება. გამოთავისუფლებულ თანხებს კი მთავრობა მიმართავს სხვა სფეროებისაკენ, მაგალითად, ბიზნესის განვითარებისთვის, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ა.შ. იმასაც ამბობენ, რომ ბევრი წამალი უხარისხოა და არც ეს ადარდებს სახელმწიფოს.

როდემდე?

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**
**ქ. ბორჯომი.**

**ცენტრალური ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს და სხვა თარგზე გადაიყვანოს ქვეყნის მართვა, თორემ ბონდო კალანდაძისნაირი წერილები მომავალში დასტა-დასტად წავა მათი მისამართით და მოთხოვნები უფრო მკაცრი და რადიკალური იქნება! აგერ არჩევნებში მათმა „პერმანენტულმა მტრებმა“ ნაციონალებმა მათი კაბინეტების კარები ხომ მძლავრად შეანჯღრიეს და ფრთხილად უნდა იყონ! მათს „პერმანენტულ აქციებსაც“, როგორც ჩანს, რაღაც საფუძვლები აქვთ და „ოცნებამ“ უნდა გაითვალისწინოს!**

**P.S.** **ისიც კურიოზია, რომ ექიმების ერთი ნაწილი კოვიდ-ავადმყოფებს მკურნალობენ, თვითონ კი აცრაზე უარს ამბობენ!!!**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანნა თადიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანნა თადიაშვილი (პ/ნ 43001032803), ქარელი, მარჯანიშვილის ქ. №28ა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქარელი, მარჯანიშვილის ქ. №28ა (საკადასტრო კოდი: 68.10.49.294).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13046.8 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75285821;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 752858

6. **მოვალე:** ირაკლი ყიფიანი (პ/ნ 43001007515), ქარელი, მარჯანიშვილის ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75285821; ლოტის ნომერი: 752858).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით აზნაურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით აზნაურაშვილი (პ/ნ 36001052595), რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპ. 7, სართული 2, ბინა №22

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპ. 7, სართული 2, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 02.02.04.179.01.022).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11996.16 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75283521;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 752835

6. **მოვალე:** დავით აზნაურაშვილი (პ/ნ 36001052595), რუსთავი, მე-11 მ/რ, კორპ. 7, სართული 2, ბინა №22.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75283521; ლოტის ნომერი: 752835).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე.

ფარიკაობა



# ფრანგული ტრიუმფი

**ტოკიოს ოლიმპიადაზე მსაჯთაგან გამეტებულმა სანდრო ბაზაძემ მიმავალი საფარიკაო სეზონი მაინც მაჟორულ ნოტაზე დაასრულა.**

ეს ორლეანში მოხდა, სადაც მასპინძელთა ტრიოსთან პარტნიორობით ჩვენი საუკეთესო მუშკეტერი ევროპის საკლუბო თასს დაეუფლა, როცა ფინალში დაძაბულ ბრძოლაში რუსები დაამარცხა – 145:141.

შეგახსენებთ, რომ მანამდე სანდრომ კონტინენტის თასზე მეხუთე ადგილი დაიკავა.

ფეხბურთი

# უზბეკურ ტალღაზე

**ხვალ თბილისის „დინამოს“ პირველი საკავშირო ტრიუმფის 57-ე წლისთავია, როცა გავრიილ კაჩალინის გაწვრთნილმა „ოქროს ბიჭებმა“ „ცხრა მთა გადაიარეს“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ სტადიონზე გამართულ დამატებით სატიტულო ბრძოლაში მოსკოვის „ტორპედო“ 120-წუთიან მარათონში 4:1 დასცეს ბექებზე. გილოცავთ მარადიულ თარიღს!**

სიმბოლურია, რომ საქართველოს ნაკრებმა სწორედ უზბეკეთთან, ზედიზედ მესამე გამარჯვებით – 1:0 დაასრულა მიმავალი სეზონი. გადამწყვეტი გოლი 39-ე წუთზე დავითაშვილის გადაცემით **ვოლკოვმა** გაიტანა, რომელმაც გორში „ჯვაროსანთა“ მაისურა კარიერაში მეორედ მოირგო, ძირითადი შემადგენლობის მთელ რიგ წევრთა არყოფნაში კი ჩვენი გუნდის ლიდერი კვარაცხელია თამაშში მეორე ტაიმში ჩაება და ერთ ეპიზოდში ბურთი ძელს მოახვედრა.

რაც შეეხება სტუმრებს, მათ ჩვენი ძველი სლოვენიელი ნაცნობი სრეჩკო კატანეცი ავარჯიშებთ, ხოლო ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი შომურადოვი „რომას“ ლეგიონერია.

და ბოლოს – ვილი სანიოლის მონაგარი: 12 მატჩი, 4 მოგება, 1 ფრე, 7 წაგება, ბურთების შეფარდება 10:20.



ფიგურული სრიალი

# ალპური ვალსი

**ფიგურისტთა ავსტრიის ჩელენჯერზე სასწაული მოახდინა ნიკა ეგაძემ, რომელმაც 18 ქვეყნის 27 კონკურენტთან დავაში სენიორების კატეგორიაში 227,57 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა.**

ქალაქ გრაცში გამართული პრესტიჟული ტურნირის პირველ დღეს მან მოკლე პროგრამაში მე-12 შედეგი აჩვენა, მაგრამ თავისუფალი სრიალი, რომელიც საკმაოდ რთული ტექნიკური ელემენტებითა და ოთხმაგი ბრუნებით იყო გაჯერებული, ვირტუოზულად შეასრულა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ, რომ იტყვიან, ირმის ნახტომი განახორციელა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ნიკამ აქამდე ყაზახეთსა და ლატვიაშიც მოსინჯა ძალები საერთაშორისო ასპარეზობებზე, სადაც მესამე პრიზიორი გახდა.



სამბო

# აზიური ჩავარდნა

**ქართველ სამბისტთაგან მედლებით ვართ განებივრებულნი, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ტრადიცია დაირღვევა.**

საუბარია ტაშკენტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც სამი დღის შემდეგ ჩვენი დელეგაციის ყულაბაში მხოლოდ 2 „ბრინჯაო“ ჩაჩხრიალდა.

თუ **ელენე ქებაძისთვის** (+80 კგ) აღნიშნული ჯილდო წარმატებად უნდა შეფასდეს, ამავეს ვერ ვიტყვით 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე „ჯვაროსანთა“ 30 წლის ლიდერ, 6 ტიტულის მფლობელ და, მათ შორის, შარშანდელ გვირგვინოსან **ვახტანგ ჩიდრაშვილზე**.

იგი ნახევარფინალში რუსეთელ საიან სერტეკთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი მასპინძელ ლუტფილა საიდამატოვს სძლია.



64

# რჩეული ამოცანები და ეტიუდები

ჭადრაკს კოლოსალური ესთეტიკური ზეგავლენა აქვს.
მიხეილ ტალი



**ვლადიმერ სავჩენკო**
სპორტის ოსტატი
საჭადრაკო კომპოზიციაში
(1942-1983)

დაიბადა ქ. ტყიბულში. მისი შემოქმედების მთავარი მოტივია მრავალსვლიანი ამოცანები.

სამი საბჭოთა საკონკურსო ჩემპიონატის ფინალისტია: XI-ში (1973) – I, IX-ში (1969) – IV, ხოლო X-ში (1971) – V ადგილი.

გერმან მატისონის ხსოვნის კონკურსში 1971 წელს I პრიზი მოიპოვა.

მკითხველს შევახსენებ ადრე ნათქვამს, რომ ლატვიელი მატისონი (1894-1932) გამორჩეული იყო თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიო ოლიმპიადაზე (1930) ერთადერთმა დაამარცხა მანამდე უძლეველი (1930-39) ლეგენდარული ალიოხინი.



**მარიან ვრუბელი**
1907-1960

პოლონელი მოჭადრაკე და საჭადრაკო კომპოზიტორი. სპეციალობით ფილოლოგი და ჟურნალისტი. 1922 წლიდან გამოაქვეყნა 1000-ზე მეტი ამოცანა, მათ შორის 200 პრიზებით აღინიშნა.

№ 50. ჩეხოსლოვაკიის კონკურსი 1967
II პრიზი



№ 51. ვრუბელის კონკ. 1968
I პრიზი



№ 52. ა. მატისონის კონკ. 1971
I პრიზი



მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

**შენიშვნა:** მოგების სხვა ვარიანტებიც არსებობს. მათი გარჩევა თქვენთვის მოგვინდვია.

№ 50 1. კd2 cb5 2.ლc6; 1... მვd4 (c4) 2.ლe3 № 51 მh4 მd3 2. მd5; 1... მf3 2. მd5; 1... მe4 2.მg2; 1... მვe3 2.ლd7 № 52 1.მc2! a1ლ 2.მვb3 ლa4 3. მვb2! ლa2 4. მვc3! ლc4 5.მვb2 ლa2 6.მვa2 gg1 7.მვb2 gg5 8.მe3 მვd2 9.მc4 მვd1 10.კc2X.

კალათბურთი

# საკადრო პრობლემებით

**ილიას ზუროსმა დაასახელა ეროვნული ნაკრების 18-წევრიანი გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც თვის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო მატჩებს გამართავს (26 ნოემბერს შინ უკრაინასთან და 29 ნოემბერს სტუმრად ესპანეთთან).**

მართალია, გუნდში არ არიან როგორც ტრავმირებული ცინცაძე და სანაძე, ისე ნბა-ში მოთამაშე ბითაძე და მამუკელაშვილი, მაგრამ პარტნიორებს შეუერთდებიან შენგელია და შერმადინი, ნატურალიზებულთაგან კი ამჯერად გამოძახებულია თად მაკფადენი.



## ეკატერინე ტიკარაძე: წლებია, წამლის ფასი ძალიან დიდი ტვირთია ჩვენი მოსახლეობისთვის!

ჯანდაცვის სამინისტროში მედიკამენტების ფასის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ, ეკატერინე ტიკარაძემ აღნიშნა, რომ წამლის ფასი მოსახლეობისთვის ძალიან დიდი ტვირთია და სამინისტრო, აღნიშნული პრობლების აღმოსაფხვრელად, აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას.

**ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობა 2019 წლის შემდეგ მიმდინარეობს, აქტიურად არის ჩართული ჯანდაცვის კომიტეტი, რომელიც მუშაობდა წამლის კანონის ნაწილზე, ასევე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომელმაც შეისწავლა ბაზარი და დადო არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ამასთან მიმართებაში. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო, დაგვენახა ამ ბაზრის პრობლემა სხვა ჭრილში და აქედან გამომდინარე ჩავრთეთ კონკურენციის სააგენტო, რომელმაც უკვე დაასრულა თავის ხედვებზე მუშაობა, მათ აქვთ მკაფიო 11 რეკომენდაცია. დღეიდან, ჩვენ, სამუშაო ჯგუფების ფორმატში, გავაგრძელებთ უკვე თითოეული მხარის მხრიდან დანახული პრობლემატიკის შეჯერებას და ამის მიხედვით უკვე გავიტანთ იმ მნიშვნელოვან კანონს, რომელიც აისახება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, როგორც წამლების ფასის, ასევე ხარისხის კუთხით,** — აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

**სამინისტროში გამართულ შეხვედრას სამინისტროსა და რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, კონკურენციის სააგენტოს, პარლამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ასევე, შეხვედრაში მონაწილეობდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული დირექტორიც.**

უახლოესი მეგობრები თენგიზ რამიშვილი და თეიმურაზ ებრალიძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი, უზადო იუმორით ყველასთვის შვების მომგვრელი, საინჟინრო-გეოლოგიის აღიარებული სპეციალისტი

## გურამ ჩიქოვანი

და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს დალი კემულარიას, ქალიშვილს მაიას და ოჯახის წევრებს.
ნათელში გვიმყოფოს უფალმა მისი სული.

## ნანული მხეიძე-გუნავა



ერთი წელი შესრულდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ არის უშესანიშნავესი ქალბატონი, დიდებული გვარის ღირსეული წარმომადგენელი, დიდი ოჯახის დედა და ბებია, პატივსაცემი და სიკეთით გამორჩეული ჩვენი მეგობრის გურამ გუნავას ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე ქალბატონი **ნანული მხეიძე-გუნავა**. იგი გახლდათ მართლაც ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, თანამშრომელთა სული და გული,. გამორჩეული სიკეთითა და თავმდაბლობით. მეუღლის, ცნობილი სამეურნეო და პარტიული მუშაკის სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხშირად უწევდა წლობით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრება, სადაც დიდი სიყვარული დატოვა. პროფესიით სოფლის მეურნეობის ტექნოლოგი, მუშაობდა ზუგდიდის ქალაქკომში, სექტორის გამგედ, პედაგოგად.

ქალბატონმა ნანულიმ მეუღლესთან ერთად მართლაც სანიმუშო ოჯახი შექმნა. მისი სახელი არა მარტო მეუღლის, შვილების, შვილიშვილების გულში, არამედ ყველას ხსოვნაში დარჩება, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია.

მეგობრების სახელით
**ბაკურ გულუა, ოთარ ჭითანავა.**

# მისტერიები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში

**ინტელექტუალურმა, დაუღალავმა და სკრუპულოზურმა იბერებმა მომავალ თაობას დიდი, მდიდარი მემკვიდრეობა მიუძღვნეს.**
**შერარ გარიტი.**

**ყოველივე ეგვიპტეში ჩაისახა... ეგვიპტე თვალუწვდენელი, იდუმალი უდაბნოების აკვანია ასკეტიზმის დასაბამისა. აქ, ამ მისტიურ სივრცეებში გადადგეს პირველი ნაბიჯი, უფლისკენ სწრაფვის დაუცხრომელი სურვილით ანთებულმა უფლის გულმხურვალე მსახურებმა, ასკეტიზმის პატრიარქებმა: ანტონ დიდმა, პავლე თებელმა, მაკარი მეგვიპტელმა, დიდმა პახუმმა... უდაბნო უკიდეგანო ნავთსაყუდელია, სადაც ეკლესიის დიდი მამები სრულ სიმარტოვეში, სხეულისა და გონების სიმშვიდის გზით ქრისტესკენ მიემართებოდნენ.**




ასკეტიკას, რაც ჭეშმარიტ სახარებისეულ მცნებებზეა აგებული, ერთადერთი მარადიული მიზანი ამოძრავებს — ბრძოლა სატანასთან, მისი სრული დესტრუქცია და ამ კატაკლიზმების ფონზე, ქრისტეს მაგალითზე, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება და საბოლოო ეტაპი — ღვთაებასთან შეერთება.

ამ ურთულეს ფსიქოლოგიურ პროცესს მრავალი პერიპეტია და ლაფსუსი ახლავს, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობებისა და ცდუნებისა ქრისტიანული მეუდაბნოება მუდამ გამარჯვებული გვევლინება.

III-IV საუკუნეებში, ქრისტიანული პატრისტიკის ოქროს ხანაში, ურიცხვი ნაშრომები იქმნება. თითოეული ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ძეგლიც მისტიციზმის გამოვლინებაა... განსაკუთრებით ეს ეხება ქრისტიანობის განთიადზე შექმნილ ნაწარმოებებს.

ცნობილი მეცნიერი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მწერლობის მკვლევარი, აკადემიკოს გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული დოქტორი, ბიზანტინოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიის ლაურეატი ქალბატონი **ნანა მირაშვილი** მრავალი წელია იღვწის ამ სფეროში, კერძოდ, „ცხოვრებათა“ ჟანრის ნაწარმოებების კვლევაში. რამდენიმე წლის წინ გამოიცა მისი მონოგრაფია „მონანიე და განდეგილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში“, სადაც შევიდა რვა წმინდანი დედის „ცხოვრება“. ნაშრომი **„მისტერიები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში“** IV-X საუკუნეებში ჩამოყალიბებული, მეცნიერთათვის უცნობი და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ნაწარმოებთა ციკლია, რომელიც ათ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას მოიცავს.

აქვეა წარმოდგენილი „საბაწმინდელ მამათა მარტვილობა“, ორი უჩვეულო ტერმინის ეტიმოლოგია და აგრეთვე, ორი „ცხოვრების“ ფრანგული თარგმანი.

სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი თხზულებანი სრულიად დივერსიფიცირებულ სიუჟეტურ ქარგასა და კონფიგურაციას გვაწვდიან. მკითხველამდე ის მთარგმნელთა დიდი ინტელექტითა და მთარგმნელობითი ნიჭის წყალობით სრულყოფილად აღწევს.მდიდარი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მწერლობა ბიზანტიური ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ქალბატონ ნანა მირაშვილის ნაშრომში პირველად ქვეყნდება IV-X საუკუნეებში შექმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების უძველესი ქართული რედაქციები, რომელთა ფესვები მთელ ქრისტიანულ სამყაროში უნდა ვეძიოთ: ეგვიპტე, პალესტინა, ბიზანტია, საბერძნეთი, რომი. ნაშრომში პირველად ქვეყნდება წმინდანების **ონოფრე განშორებულის (IV ს.), მაკარი მეგვიპტელის (IV ს.), მარტინიანე პალესტინელის (VI ს.), ევპრაქსიას (V ს.), ქსენი რომაელის (V ს.), იოანე სინელის (VII ს.), პეტრე ათონელის (X ს), თეოქსისტე ლეზველის (X ს.) ცხოვრების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები**. კრიტიკული ტექსტები ჩამოყალიბებულია უძველეს ხელნაწერთა ბაზაზე.

ქართველი სასულიერო მოღვაწენი სრულყოფილად ფლობდნენ ბერძნულსა და აღმოსავლურ ენებს, რაც თვალნათლივ გამოსჭვივის უძველეს ქართულ თარგმანებში. ქართველები თავდაუზოგავად იღვწოდნენ ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა სამონასტრო ცენტრში. საგანგებოდაა აღსანიშნავი გადამწერთა ურთულესი სამუშაო, რომლებსაც ხშირად დაზიანებულ ხელნაწერებზე უხდებოდათ შრომა. სწორედ ქართველი კოპისტების დაუღალავმა ღვაწლმა შემოუნახა მსოფლიო მეცნიერებას ფასდაუდებელი თარგმანები.

ქალბატონ ნანა მირაშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ თითოეული „ცხოვრების“ ტექსტი პირველადაა დეტალურად შესწავლილი უცხოური წყაროებიდან მიმართებაში (ბერძნული, სირიული, კოპტური, არაბული). აქ წარმოდგენილია „ცხოვრებათა“ ავტორებისა და მთავრი პერსონაჟების ზოგადი კვლევა. მიკვლეულია წმ. მაკარი მეგვიპტელისა და წმ. ქსენი რომაელის „ცხოვრებათა“ კოპტური და ბერძნული დედნები, რომლებიც ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში დღემდე უცნობი იყო.

მართლაც უდიდესი დამსახურებაა, რომ ქალბატონი ნანას მიერ შესწავლილი ქართული რედაქციები უძველესია და მათი უმრავლესობა აა გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტებიდან, არამედ უცნობი ბერძნული უძველესი ორიგინალიდან მომდინარეობს. ეს კი ქართული ცივილიზაციის ღრმა, მდიდარ ფესვებზე ცხადყოფს.

ნაშრომს ავტორი უძღვნის თავის ძვირფას მასწავლებელს, აკადემიკოს **რისმაგ გორდეზიანს**. წიგნის რედაქტორები გახლავან ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორები, პროფესორები **ენრიკო გაბიძაშვილი** და **ნელი მახარაძე,** რეცენზენტები — ფილ. მეც. დოქტორები, პროფესორები **ნანა ტონია, ვალერი ასათიანი** და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **გიორგი სანიკიძე**.

**მამუკა ვაშაკიძე**

## რა უპირატესობა აქვს ევროკავშირის ციფრულ კოვიდ-სერტიფიკატს

**ევროკავშირის მიერ მესამე ქვეყნებში გაცემული ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის აღიარება ნიშნავს იმას, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს შეეძლებათ ისარგებლონ იმავე სამოგზაურო პირობებით, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის მქონე პირები.**




ევროკავშირის ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის მქონე (სრულად ვაქცინირებული) პირები თავისუფლდებიან მოგზაურობასთან დაკავშირებული ტესტირების ან კარანტინის პირობებისგან ევროკავშირის მიერ ავტორიზებული ვაქცინის ბოლო დოზის მიღებიდან 14 დღის შემდეგ (ასევე, „კოვიდ-19“-სგან გამოჯანმრთელებულ პირები, რომლებმაც მიიღეს ორდოზიანი ვაქცინის ერთი დოზა). როდესაც მოგზაური შედის EU(ტერიტორიაზე (შენგენის ტერიტორია და შენგენთან ასოცირებული 4 ქვეყანა: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია), სერტიფიკატის გამოყენება შეუძლია კულტურულ ღონისძიებებზე, ღირშესანიშნაოებების მოსანახულებლად ან სხვა აქტივობებისთვის, სადაც ციფრული კოვიდ-სერტიფიკატის წარდგენა აუცილებელია. თუ პირი აცრილია ევროკავშირში არაავტორიზებული ვაქცინით, მოგზაურობამდე მან უნდა გადაამოწმოს იმ ვაქცინათა სია, რომლებიც დაშვებულია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ.

## ვაზუსტებთ

ცნობილი პუბლიცისტის **გრიგოლ ონიანის** წერილში, რომელიც ჩვენი გაზეთის 10 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა სათაურით **„მტრის არმცნობი ქუთაისი“,** გაიპარა ავტორისეული რამდენიმე უზუსტობა: სსრ კავშირის გმირთა ჩამონათვალში (მე-2 სვეტი) გამორჩენილია **ვლადიმერ ჯანჯღავას** (ხონი, სოფელი გუბი) და **ნოე ადამიას** (ხონი, სოფელი მათხოჯი) გვარები; ამავე ჩამონათვალში შეცდომით წერია ორი გვარი: **ვლადიმერ შუბლაძის** ნაცვლად უნდა ეწეროს **ვლადიმერ გუბელაძე,** ხოლო **მიხეილ ლოსაბერიძის** ნაცვლად **მიხეილ დიასამიძე.** ავტორი ბოდიშს უხდის მკითხველს.

# ლევილის მამულში „ორანჟერეის პროექტი“ სრულდება!..



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დელეგაცია ლევილ-სიურ-ორჟს ეწვია და საქართველოს კუთვნილი მამულის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იოსებ ბაღათურია, სამინისტროს ინფრასტრუქტურული განვითარების დეპარტამენტის უფროსი **გიორგი ბოცვაძე,** სამინისტროში ლევილის მამულის რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორი **გოჩა ჯავახიშვილი,** გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი **ნინო ჭიპაშვილი** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **გიორგი დუგლაძე**.

ადგილზე დელეგაციის წევრებს ლევილის მამულის მმართველი საბჭოს წევრები – **ირენ ციციშვილი** და **ტიერი ბერიშვილი** დახვდნენ. დელეგაციის წევრებმა ლევილის მამული სრულად დაათვალიერეს, მის მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ და ირენ ციციშვილისა და ტიერი ბერიშვილისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს მამულის წინაშე მდგარი ინფრასტრუქტურული გამოწვევების შესახებ.

მოცემული ვიზიტი მნიშვნელოვანია, რათა დროული და არსებული გამოწვევების შესაბამისი ნაბიჯები დაიგეგმოს ლევილის მამულის რეაბილიტაციისა და ადგილზე ქართული კულტურის კერის მოწყობის მიზნით.

მიმდინარე წლის ზაფხულში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ლევილის მამულში სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და კულტურის კერის შექმნის პროექტის შემდგომი ხელმძღვანელობა საგარეო საქმეთა სამინისტრომ დარგობრივ უწყებას –კულტურის სამინისტროს გადასცა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული, 25-წლიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, 2016 წელს საქართველოს დაუბრუნდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ **გელა დუმბაძისა** და იუსტიციის მაშინდელი მინისტრის **თეა წულუკიანის** ძალისხმევის შედეგად. მამულის რეაბილიტაციის პროექტს, რომლის განხორციელებაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2017 წელს დაიწყო, ოფიციალურად ეწოდა „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი. ლევილის ქართული აკადემია“ და საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ მამულის სრული რეაბილიტაცია 10 წლის ვადაში უნდა განხორციელდეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევით, ამ ეტაპზე დასრულებულია სამუშაოების პირველი ნაწილი, ე.წ. „ორანჟერეის პროექტი“, რის შედეგადაც ორანჟერეის ტერიტორიაზე კეთილმოეწყო 150 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი, მოპირკეთდა ეზო, მისასვლელი და მისი მიმდებარე ტერიტორია.



# ქართული ღვინის „საელჩო“ შვეიცარიაში

**საქართველო ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას პანდემიურ პერიოდშიც აქტიურად აგრძელებს. ამ მიზნით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია „ქართული ღვინის ფორუმი“, რომელიც ფესტივალის „FERNWEH“ ფარგლებში გაიმართა.** როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე **დავით ტყემალაძე**



აცხადებს, ღვინის მარკეტინგი კიდევ უფრო გააქტიურდება გლობალურ ბაზრებზე, მათ შორის, შვეიცარიაში, სადაც უკვე 2022 წელს ღვინის ეროვნულ მუზეუმში საქართველოს საკუთარი სივრცე ექნება, რაც პოპულარიზაციის მიმართულებით ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯია.

**„წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ პრაქტიკულად ღვინის საელჩო გვაქვს შვეიცარიაში, სადაც ღვინის კულტურაა, აფასებენ ღვინოს და აქვთ ენდემური ჯიშები, ღვინის ფასი იციან! 2022 წელს კი შვეიცარიის ღვინის მუზეუმში ქართული ღვინის ეთნოგრაფიულ-ისტორიული კუთხე მოეწყობა. ღვინის მწარმოებელი ტრადიციული ევროპული ქვეყნების გარემოცვაშია, როგორისაც იტალია და საფრანგეთი წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ქართული მეღვინეობით დაინტერესება ჩვენთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. მომავალში იგი მხარს დაუჭერს ციურიხში ახალგახსნილ ქართული ღვინის მაღაზიას და შექმნის საშუალებას, ყველამ იცოდეს, რომ ქართული ღვინო შვეიცარიაში კონკრეტულ ადგილას არსებობს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, დააგემოვნოს, დაესწროს დეგუსტაციას და შეიძინოს“,** – აცხადებს დავით ტყემალაძე.

მისი ინფორმაციით, პარალელურად გრძელდება ასევე პროექტი „საქართველო – ღვინის სამშობლო“, რომელიც 2017 წელს დაიწყო ბორდოში. შვეიცარია კი აღმოჩნდა ადგილი, სადაც ქართული ღვინო ფეხს იკიდებს და საკუთარ ნიშას ეძებს.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის კონფედერაციის დედაქალაქ ბერნში, ფესტივალის „FERNWEH“ ფარგლებში, „ქართული ღვინის ფორუმი“ გაიმართა. შვეიცარიაში მსგავსი მასშტაბის ღონისძიება პირველია და ის ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შვეიცარიაში **„ქართული ღვინის ფორუმი“** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს, **„ქართული ღვინის გალერეის“** და შვეიცარიაში **„ქართული კულტურის ცენტრის“** ორგანიზებით ჩატარდა.

ქ. ბერნში, ღვინის პროფესიონალებსა და დაინტერესებულ პირებს, ორი დღის განმავლობაში, შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართული კომპანიების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დასახელების ღვინოს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ფორუმში კომპანიები: **„თელავის ღვინის მარანი“, „შატო მუხრანი“, „თელიანი ველი“, „შილდა“, პცთ, „წინანდლის მამული“, „კონჭო და კომპანია“, „ნაბერაული“** და **„ნიკოლაიშვილების ღვინის მარანი“** მონაწილეობდნენ.



ფორუმის ფარგლებში სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა.

**მარი ჩიტაია**

# დოკუმენტური სერიალი პატარა კახზე

**საქართველოს პირველმა არხმა დოკუმენტური სერიალის „პატარა კახი“ გადაღება დაიწყო,** – ამის შესახებ დოკუმენტური სერიალის იდეის ავტორმა, **ვასილ მაღლაფერიძემ** გადაცემა „დღის კოდში“ განაცხადა.



როგორც მან აღნიშნა, ერეკლე მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სერიალის გადაღება 2020 წლიდან, ერეკლე მეორის 300 წლისთავთან დაკავშირებით იგეგმებოდა, თუმცა კორონავირუსის პანდემიამ გადაღებების პროცესი შეაფერხა.

**„გუშინ დავიწყეთ ახალი პროექტის გადაღება, რომელიც ეძღვნება ერეკლე მეფეს, ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეს. სწორედ ამ ადამიანმა განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაცია და ის, რომ ახლა ევროპულ ცხოვრებაზე ვსაუბრობთ. იგეგმება რამდენიმე სერიის გადაღება, პროექტი საკმაოდ რთულია, მაგრამ იმედი გვაქვს, მომავალ წელს შევძლებთ ჩვენებას“,** – აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ. დოკუმენტური სერიალის სცენარის ავტორები არიან აკა მორჩილაძე, კოტე ჯანდიერი და ვასილ მაღლაფერიძე, რეჟისორია ლევან ახობაძე.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 ნოემბერს

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 3.1550; ევრო - 3.6131;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2334;
100 რუბლი - 4.3653; თურქული ლირა - 0.3173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8554;
1000 სომხური დრამი - 6.6339.

**ამინდი 17 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +5 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +7 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge